# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 31 ივლისი 1998 №132 (667) ფასი 40 თეთრი


# სადა ფეხარ? საქართველოში ფეხბურთი ფაფუფ?

კონსტანტინე გოგიშვილი

ბარემ არ გვინდოდა ეს წერილიც ჭმუნვითა და ლაწვების ხოკვით დაგვეწყო, მაგრამ გასვენებს ვინმე? ფიქრობს ვინმე, რომ ფეხბურთში მარცხის გარდა გამარჯვებაც არსებობს და მოგება-წაგება ძმები არიან? რაღა სულ ჩვენ უნდა წავაგოთ? „ბოტევი“ ჩავყლაპეთ, „ბოავიშტა“ ჩავყლაპეთ, „ბრაგას“ გახსენებაზე დღესაც ელეთ-მელეთი მოგვდის, „ტიროლი“, „ბაიერი“, მოლდოვა, პოლონეთი, ახლა „ცრვენა ზვეზდამაც“ გადაგვირბინა, თბილისის „დინამოს“ ალბანურმა სოფლის გუნდმა გადაუარა... ჰოდა, გვაქვს საქმე სასაცილოდ? ჰოდა, ღირს არხეინად ყოფნა?

მაშ გვიშველეეთ!

## საფეხბურთო კრიმანჭული

არის ერთგვარი სიმღერა ქართულ ფოლკლორში. სხვა ქართული სიმღერები-

ლები იქნება ამ თავების რაოდენობა, მით უკეთესი ჩვენთვის, მით უკეთესი მთელი ქართული ფეხბურთისთვის.

## პირველად იყო სიტყვა

ჟურნალისტს უფლება აქვს კრიტიკისა, რადგანაც პრესა სწორედ იმისთვის არსებობს, რათა გააკრიტიკოს.

ეს სიტყვები ცნობილ არგენტინელ მწვრთნელს, კარლოს ბილარდოს ეკუთვნის — კაცს, რომელსაც უამრავი ჭორი მოუგონეს, უამრავი ცილი დასწამეს, კრიტიკის ზღვა დაატეხეს და ბოლოს „აცტეკაზე“ ასეთი პლაკატი გამოუფინეს - ბოდიში, ბილარდო, და გმადლობთ!

ჭორიკანობისა და ცილისმწამებლობისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ კრიტიკულნი ნამდვილად უნდა ვიყოთ. უფრო მეტიც, ქართულ ფეხბურთს სჭირდება, რომ ვიყოთ კრიტიკულნი. დითირამბების სამღერად თანამედროვე სპორტულ მასმედიას არ სცალია.



ფოთშიც ასე იყო და ბელგრადშიც: იუგები ფეხზე მყარად იდგნენ, ჩვენები კი–

ვით პოლიფონიური და ამოდ სასმენი. მხოლოდ ერთი ხმა „ურევს“. ჰოდა, ქართული ფეხბურთის სტრუქტურაც კრიმანჭულს გვაგონებს. ყოველთვის ვიღაც ურევს, ყოველთვის ვიღაც ვერ ერგება საერთო სიტუაციას, სხვაგან იწევს და ამ ჭაწამაწიაში ქართული ფეხბურთიც ეშვება და ეშვება უფსკრულში. სათქმელი უნდა ითქვას, თევზი ყოველთვის თავიდან ყარს და სწორედ ქართული ფეხბურთის სათავე უნდა დაიწმინდოს, თორემ ჩვენ რაც გინდა მაღალი მოძახილი შემოვძახოთ, რაგინდ ხმამაღლა ჩავუკრიმანჭულოთ, ჩვენი ხმა მაინც უდაბნოსა შინა მღაღადებლისად დარჩება. ჩვენ პატარა ხალხად გვთვლიან და, ალბათ, ხელებიც მოკლეზე მიგვიწვდება.

ორ და ათხელისუფლებიანობამ, გავლენის სფეროებისთვის ბრძოლამ მეტად ცუდი სამსახური გაუწია ჩვენს ფეხბურთს. ჯანმრთელი და ლამაზი ბიჭუნა, ქართული ფეხბურთი რომ ერქვა, მრავალთავიან საცოდაობად გაიზარდა და რაც ნაკ-

სხვა საქმეა, ვინ როგორ იღებს მისდამი მიმართულ კრიტიკას. ბევრს წყინს, ორიოდე კაცი კი ყურად იღებს ხოლმე ობიექტურად გამოთქმულ შენიშვნებს და, როგორც წესი, არ აგებს.

სპორტული ჟურნალისტის საქმე არაა, თუ ვის როგორი რეაქცია ექნება პრესაში გამოქვეყნებულ მოსაზრებებზე. მან, სხვა თუ არაფერი, თავისი პოზიცია უნდა გამოხატოს, ხანდახან კი ცივი შხაპითაც უნდა გაწუწოს სალათას ძილით მიძინებული არხეინი „მოღვაწეები“, დანის პირზე რომ ეხევიან - არ მოვმკვდარვართ, მხოლოდ გვძინავსო.

საქართველო ძალიან პატარაა იმისთვის, რამე გააკეთო და ვინმეს არ შეეხო. მით უმეტეს, რაიმე გააკრიტიკო და ვინმეს გული არ დასწყვიტო. მაგრამ თუ მხოლოდ ამაზე ვიფიქრეთ, თუ სულ ასჯერ ვზომეთ და ერთხელ ვჭერით, თუ ნააზრევს მცირედი ემოცია და ცხელი გული არ დავატანეთ - უბრალოდ, ჩვენს ნალვაწს მარილი ეკლება.

პატივცემულ და პატივმოყვარე რესპონდენტებს რაც შეეხებათ, ნუ ინებებენ პრესითვე დაგვიბრუნონ ხურდა. განა უმჯობესი არ იქნება, ისევე გვიპასუხონ, როგორც ბილარდომ ანაც ემე ჟაკემ უპასუხეს კრიტიკოსებს?!

განა ყველამ საქმით არ უნდა დაამტკიცოს თავისი სიმართლე?!

საქმეს კი, ნურვინ შეგვედავება — ჩვენ, სპორტული ჟურნალისტები, უფრო ვუვლით ვიდრე ქართულ ფეხბურთში მოღვაწე სხვა რანგის სპეციალისტები.

და ესეც რომ არ იყოს, ზურგს ძველი სიბრძნეც გვიმაგრებს:

პირველად იყო სიტყვა...

## აეროპლანი და ურმის ფერსო

ზუსტად ისე განსხვავდება ჩვენეული ფეხბურთი უცხოურისგან, როგორც ურემი — თვითმფრინავისგან. სხვები ფრენენ, ჩვენ კი, ძველებურად, მამაპაპურად მივჭრიალებთ და გზაც მაშინ გამოგვიჩნდება, როცა ურემი გადაბრუნდება ხოლმე.

აჰა, „ვლაზნიამაც“ ამოგვაბრუნა. ალბანელებსაც უსწავლიათ ფრენა. სანთელი უნდა ავუნთოთ უეფას, უფრო კი „ვლაზნიას“ გამწვრთნელ დედიას, ის შავი კაცი რომ შემოაგდო პაიჭაძეზე გაგრძელება იქნება და ახლა მკითხველმა განსაჯოს, რას გვიზამს, უფრო სწორად, რა შეუძლია გვიყოს ბასკურმა „ატლეტიკმა“.

გუნდი, რომელიც ალბანეთის „ვლაზნიას“ ვერ უგებს, „ატლეტიკთან“ თამაშსაც კი დიდ პატივად უნდა თვლიდეს. ასეც იქნება — უეფას ვერდიქტის წყალობით, საქართველოს ჩემპიონს ერგო ეს პატივი. მოგებით კი, ალბათ, ორი-სამი ბურთით მეტს არ მოგვიგებენ ბილბაოელები. ისინი პროფესიონალები არიან, მწვრთნელადაც ნამდვილი დიდოსტატი (ფეხბურთელიც და მწვრთნელიც) ჰყავთ და ესეც არ იყოს, ბასკები ხომ გვენათესავებიან სადღაც, რაღაცაში (ცხონებული ნოდარ დუმბაძის თქმით, მჟავე კიტრის ჭამისას ისინი თურმე ზუსტად ისევე იჭყანებიან, როგორც ჩვენ — ქართველები).

აჰა, ბატონო, სირცხვილი და თავის მოჭრა ამაზე შორს ვერ წავა. განა რომელიმე ქვეყანა მოუთმენდა თავის პირველ გუნდს ასეთ უთავმოყვარეობას?! განა ღირსია „დინამო“, მისი წარსული, მისი ტრადიცია მსგავსი მასხრად აგდებისა? და როდემდე აპირებთ ასე, ბიჭებო? როდის უნდა ისწავლოთ ფრენა? გვითხარით, შკოდერის ფარჩაკ გუნდთან მარცხი რაღას დავაბრალოთ — შიშს, სიცხეს, მსაჯს, გადაღლილობას, ახალგაზრდულ ასაკს თუ რას. გვითხარით, ქვეყნის უძლეველი ჩემპიონი რომ ასეთი დონის გუნდთან აგებს, სხვებს რა მოვთხოვოთ! ასეთი საკლუბო საფუძვლის მქონე ნაკრებს რა ჩინ-მენდლები შევუკვეთოთ...

ვინ ადგება და გვეტყვის, რომ ამ და სხვა უამრავ სამარცხვინო წაგებას რაიმე ობიექტური ახსნა გააჩნია.

ახსნა ერთადერთია — სხვები ფრენენ, ჩვენ კი კვლავ ურემზე ვზივართ (ტყემალზეც). ურმით კი მარტო შერეკილები დაფრინავენ.

იხილეთ მეორე გვერდი

## ვაი მსაჯისგან თუ ტულუზისგან?

გუშინწინ, ფეხბურთელთა დარად, ვერც ჩვენმა მორაგბეებმა ივარგეს. თუმცა, რომ არა მსაჯის შეცდომა თუ მიკერძოება, ბორჯღალოსნებს იქნებ მოეგოთ კიდეც.

საქმე ისაა, რომ ბოლო წუთზე მსაჯს ჩვენი ნაკრებისთვის ლელო არ ჩაუთვლია, აქაოდა, მოედნის ფარგლებს გასცდითო. არადა, ნაკრების მთავარი მწვრთნელის გურამ მოდებაძის თქმით, ვიდეოფირზე გარკვევით ჩანს, რომ ამნაირი არაფერი მომხდარა.

საბოლოოდ ქართველელბი „ტულუზთან“ 14:17 დამარცხდნენ.


## ხვალინდელ სარბიელში:

კობა ინასარიძის ექსკლუზიური ინტერვიუ ალბანეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ასტრიდ ჰაფაზთან




დრო იყო, ლიტველებსაც ვუგებდით. ახლა ისინი ამერიკას ამწარებენ...

# ლიტვამ ამერიკა დააჩოქა

A ჯგუფი

კანადა 70:57 სენეგალი

საბერძნეთი 64:56 იტალია

B ჯგუფი

პუერტო რიკო 78:57 იაპონია

იუგოსლავია 82:74 რუსეთი

C ჯგუფი

ლიტვა 84:82 აშშ

კორეა 73:76 ბრაზილია

D ჯგუფი

არგენტინა 68:51 ნიგერია

ავსტრალია 76:77 ესპანეთი

მსოფლიოს ჩემპიონატი კალათბურთში

C ჯგუფი

ლიტვა 84:82 აშშ

ლიტვა: კარნიშოვასი (29), შტრომბერგასი (15), კაზლაუსკასი (12)
აშშ: ოლივერი (18), ჰოუკინსი (16), სესერი (13)

ლიტვამ წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის უპირველესი სენსაცია მოახდინა და თვით ამერიკის ნაკრები დაამარცხა! მართალია, ოკეანისგაღმელთა შემადგენლობა NBA-ში შექმნილი რთული ვითარებისა და ლოკაუტის გამო შედარებით სუსტი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. აშშ-ის ნაკრები ხომ ნებისმიერ ტურნირზე ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატია და მასთან გამარჯვება უდიდეს პატივად ითვლება.

არა, ბალტიისპირელებმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინეს. მათ მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ და საწადელ შედეგსაც სამართლიანად, სრულიად დამსახურებულად მიაღწიეს. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ლიტვის ნაკრები მუდამ ლიდერის როლში იყო. მათი უპირატესობა ყველაზე თვალსაჩინოდ პირველ ტაიმში გამოიკვეთა, როდესაც ანგარიშში სხვაობა 15(!) ქულა იყო. არ ვიცი, ნერვიულობის ბრალი იყო თუ სხვა რამ, მაგრამ დაწინაურებული ლიტველები ზედმეტად აღელდნენ. ისინი უამრავი საჯარიმო ტყორცნის გარდა ისეთ მომენტებსაც ვერ იყენებდნენ, საიდანაც აცილება უფრო ძნელია, ვიდრე ზუსტად სროლა.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ამრიკელებმა მეტოქეს ვერაფერი მოუხერხეს და პირველი ტაიმი მათთვის უჩვეულოდ დიდი — 13 ქულის სხვაობით წააგეს. აი,

შესვენების შემდეგ კი ვითარება სრულიად შეიცვალა. აშშ-ის ნაკრები სრულიად გარდაიქმნა და ლიტველთა უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ამ მონაკვეთში თავი ამერიკელთა ლიდერებმა — მაიკლ ჰოუკინსმა და ჯიმი ოლივერმა გამოიჩინეს. სწორედ მათი ბრწყინვალე გარჯის წყალობით იყო, რომ სხვაობა თითქმის მინიმუმამდე შემცირდა.

ასეთ ვითარებაში, ალბათ, ბევრი გუნდი ფარ-ხმალს დაყრიდა და მეტოქეს გამარჯვებას დაანებებდა, მაგრამ ლიტვა ხომ გამორჩეულ ნაკრებებს მიეკუთვნება. ძნელ სიტუაციაში ლიდერობა ისევ 29 ქულის ჩამგდებმა არტურას კარნიშოვასმა ითავა. მისმა ზუსტმა სამქულიანმა ტყორცნებმა ამერიკელთა ნაქები თვითრწმენაც კი შეარყია. რომ ნახეს, თამაშით არაფერი გამოდისო, სულ დარჩეულმა, ბრგე ზანგმა ბიჭებმა უხეშობას მიჰყვეს ხელი, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

— აშკარად იმედგაცრუებული ვარ. საშინელი პირველი ტაიმის შემდეგ თამაში საგრძნობლად გამოვასწორეთ და ანგარიშიც მინიმუმამდე შევამცირეთ. საწყენია, რომ ჩვენმა ბოლო ტყორცნამ მიზანს ვერ მიაღწია. ის ბურთი რომ ჩავარდნილიყო, ახლა გამარჯვებას ვიზეიმებდით. ყველაფერის მიუხედავად, იმედია, ამ წაგებისგან სწორ დასკვნებს გამოვიტანთ და მომავალში უკეთ გავირჯებით — განაცხადა ამერიკელთა თავკაცმა რუდი ტამიანოვიჩმა.

ბოლო ორი ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანთა მთავარი მწვრთნელი იონას კაზლაუსკასი უსაზღვროდ ბედნიერი გახლდათ: „ეს დღე, ალბათ, სამუდამოდ შევა ლიტვის კალათბურთის ისტორიაში. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვიყავით საკუთარ შესაძლებლობებში და თანაც კარნიშოვასი გვყავდა.“

იხილეთ მეშვიდე გვერდი

# გოლების წვიმა მარაკანაზე

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი
29 ივლისი. ბელგრადი. ცრვენა ზვეზდა. 7 000 მაყურებელი

## ცრვენა ზვეზდა 7:0 კოლხეთი

1:0 პანტელიჩი (28), 2:0, 3:0 ოგნიენოვიჩი (45პ, 47); 4:0 გოიკოვიჩი (54); 5:0, 6:0, 7:0 მიჩიჩი (57, 69, 90)

ბიძინა დარჩია
ბელგრადიდან

„ცრვენა ზვეზდას“, იგივე „მარაკანას“ სტადიონის მინდორზე გუნდების გასვლისთანავე ნათელი იყო, რომ მატჩის გამარჯვებულის საკითხი გარკვეული იყო და საინტერესო ამ მატჩში მხოლოდ ის იყო, რა ანგარიში დაფიქსირდებოდა ტაბლოზე.

მასპინძლებმა წინა მატჩის შემადგენლობა შეუცვლელად გამოიყვანეს, ხოლო სოსო ფილიამ ძირითადი რამდენადმე გაახალისა და სასტარტოში ქუნთელია, ქუტიძე და კალანდაძე დააყენა.

პირველ წუთზე ბჟეგოვიჩმა საჯარიმო მოედანში საჰაერო ორთაბრძოლა მოიგო და ბურთი ოდნავ ასცდა სტუმართა კარს, ეს იყო ნიშანი იმისა, რომ წითელი ვარსკვლავები მთელ მატჩს შეტევაში გაატარებდნენ.

მეათე წუთზე ერთმანეთს შეეჯახნენ ოგნიენოვიჩი და ქუნთელია და გასაგები გახდა, რომ ფიზიკურად გუნდები ცისა და დედამიწის დარად განსხვავდებოდნენ. ალბათ ამის გამო იყო, რომ ქართველებმა მხოლოდ 20 წუთს გაძლეს.

გოლები კი ყველანაირი გემოვნებისა გავიდა, სამწუხაროდ ეს ჩვენს კარში ხდებოდა, რომლის დარაჯს ზურაბ ქვაჩახიას, მიუხედავად 7 გაშვებული გოლისა, სასაყვედურო მაინც არ ეთქმის, მან ერთი ამდენი ნაღდი მომენტიც გააუვნებლა და რომ ყოფილიყო დაწესებული პრიზი სტუმართა შორის საუკეთესო ფეხბურთელისათვის, ამას ფოთის მატჩის მსგავსად კოლხთა კარის დარაჯი დაეუფლებოდა.

პირველი ტაიმის დასასრულს მეკარემ პანტელიჩთან ბრძოლაში თერთმეტმეტრიანი აიკიდა და მსაჯს პენალტის ნიშნულზე მითითების გარდა რომელიმე ფერის ბარათის ჩვენებაც შეეძლო, თუმცა მან მხოლოდ თერთმეტმეტრიანისკენ წაიღო ხელი.

მეორე ნახევარში კი გოლების წვიმა დაიწყო. მცველთა შეუთანხმებლობით ოგნიენოვიჩმა ისარგებლა და მეკარე უშანსოდ დატოვა. 7 წუთში იოვან გოიკოვიჩმა ბრწყინვალე სოლო რეიდი განახორციელა, და აულებელი ბურთი მარცხენა ცხრიანში მოათავსა.

შემდგომ უკვე დრაგენ მიჩიჩის ჯერი დადგა და გუნდის ყველაზე გამოცდილმა, 29 წლის ფეხბურთელმა ჰეთ-თრიკი შეასრულა. ტანმორჩილმა მიჩიჩმა საჰაერო ორთაბრძოლაში მოგებული ბურთით ხუთამდე, ხოლო 62-ე და 90-ე წუთებზე მარჯვენა და მარცხენა ფლანგიდან გატანილი გოლებით კოლხთა გოლგოთაც დაასრულა.

იყო დრო, როცა ფარერების, ლიხტენშტაინის, ალბანეთის, მალტისა და ლუქსემბურგის გუნდების ხსენებაზე გვეცინებოდა. მგონი, მალე ჩვენს ხსენებაზე სხვებსაც იგივე რეაქცია ექნებათ. განგაშის ზარები დროულად უნდა შემოვკრათ. „ცრვენა ზვეზდა“ კი მხოლოდ ორი-სამი ეტაპის გავლას ვარაუდობს, მან ევროპაში თავისი ადგილი იცის.

### მატჩის შემდეგ

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე იური გვაზავა და გელა ინალიშვილი, მილორად კოსანოვიჩი და გორან ბუნიევჩევიჩი მოვიდნენ. ფეხბურთელებმა კორექტული თამაშისათვის ერთმანეთს მადლობა უთხრეს, იუგოსლავ ჟურნალისტებს არც ერთი მოთამაშის მიმართ ყურადღება არ გამოუჩენიათ, ხოლო გელამ შინაურულ საუბარში განაცხადა, რომ ასეთი თამაშით ევროტურნირებზე მონაწილეობას აზრი არა აქვს და თუ ქართულ ფეხბურთში ბევრი რამ სასიკეთოდ არ შეიცვალა ჩვენი საკლუბო ფეხბურთი სასიკვდილოდ არის განწირულიო.

*იური გვაზავა, „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე:* გუნდმა ვერ შეასრულა დასახული ამოცანა, ღირსეულად წარმოჩენილიყო ამ დიდებულ არენაზე, რაშიც მასპინძელთა ბრწყინვალე კოლექტივია დამნაშავე. იმედია, ეს მწარე გაკვეთილი იქნება, ჭკუის სასწავლებელი და ჩვენ რადიკალური ნაბიჯებით შევძლებთ მდგომარების გამოსწორებას.

*მილორად კოსანოვიჩი, „ცრვენა ზვეზდას“ მწვრთნელი:* კმაყოფილი ვარ, რომ გუნდმა შეასრულა დასახული ამოცანა და განსხვავებით პირველი მატჩისაგან 90 წუთი საოცრად ორგანიზებულად ჩაატარა მატჩი. არავის გამოყოფა არ მსურს. გუნდში დიდი კონკურენციაა და ადგილისათვის ბრძოლა ყველა ფეხბურთელს მოუწევს, მით უმეტეს მომდევნო ეტაპებზე ჩვენ ორი ბრაზილიელის გამოყვანის უფლებაც გვექნება, რომელთა იუგოსლავურ გუნდში ადაპტაციის პერიოდი წარმატებით მიმდინარეობს.

| | |
|---|---|
| **ცრვენა ზვეზდა** | |
| 1. სევრიჩი | |
| 2. დუდიჩი, 6. ბუნიევჩევიჩი, 16. ილიჩი, 3. ბჟეგოვიჩი | |
| 5. პეცელი | |
| 7. შკორიჩი, 14. გოიკოვიჩი | |
| 10. აჩიმოვიჩი | |
| 8. პანტელიჩი, 11. ოგნიენოვიჩი | |
| 9. დ. მახარაძე | |
| 20. კალანდაძე, 7. ნოზაძე | |
| 9. ე. გვასალია, 6. ღაღანიძე | |
| 14. ინალიშვილი | |
| 17. ქუტიძე | |
| 20. ქუნთელია, 11. ქობულაძე | |
| 3. ტორჩინავა | |
| 1. ქვაჩახია | **კოლხეთი** |
| შეცვლა: პანტელიჩი — 19. მიჩიჩი (46), ქუტიძე — 4. გიორგაძე (59), ე. გვასალია — 21. შალამბერიძე (64), აჩიმოვიჩი — 18. ლიუბოევიჩი (66), ოგნიენოვიჩი — 17. სლოვიჩი (66), ნოზაძე — 10. წიწშვაძე (75) | |
| გაფრთხილება: ქუტიძე, ქობულაძე | |
| მთავარი მსაჯი: ა. როსა (ესპანეთი) | |



ფილია ისევ დაღვრემილია

### მატჩის სტენოგრამა

1 წუთი. ბჟეგოვიჩმა მოიგო საჰაერო ორთაბრძოლა და ბურთი ოდნავ ასცდა კარს.
5. მახარაძე ოსტატურად გასცდა ორ მცველს, მაგრამ მას ეუხეშნენ და გაზონზე დასცეს. ინალიშვილმა უხეიროდ შეასრულა ჯარიმა.
20. შკორიჩმა ოგნიენოვიჩი მეკარის ბაქანთან მონახა, მაგრამ ქუტიძემ იმარჯვა.
21. პანტელიჩის სახიფათო გარღვევა ტორჩინავამ გააუვნებელყო.
26. გვასალიამ 40-მეტრიანი პასი მისცა კალანდაძეს და ჯონიმაც 25 მეტრიდან მოსინჯა მეკარის სიფხიზლე.
28. მარცხენა ფლანგიდან დაწყებულ შეტევას პანტელიჩმა კარგი გაგრძელება მოუძებნა და საჯარიმოს სიღრმიდან ქვაჩახიას შანსი არ დაუტოვა.
30. ოგნიენოვიჩმა ყუმბარისებურად დაარტყა, ქვაჩახია ბრწყინვალეა.
31. ღაღანიძემ ოსტატურად გადაუგდო მცველებს, მახარაძე ოფსაიდშია.
32. პანტელიჩმა აჩიმოვიჩი გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ ქვაჩახია კვლავ შეუდარებელი იყო.
35. ღაღანიძემ 30 მეტრიდან გაისროლა და მიზანიც ახლოს იყო, აუცდა
43. პანტელიჩმა უძლიერესად დაარტყა და ტორჩინავამ თავგანწირულად ითამაშა.
44. ოგნიენოვიჩმა ახლოდან დაარტყა და ქვაჩახიამ ფანტასტიკურად ითამაშა.
45. პანტელიჩის და ქვაჩახიას ორთაბრძოლისას პენალტი დაინიშნა და პერიცამ ზუსტად შეასრულა.
47. მცველებმა ოგნიენოვიჩი მეკარესთან პირისპირ დატოვეს და მან თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა.
54. გოიკოვიჩის სოლო რეიდი და ფანტასტიკური გოლი ცხრიანი
58. მიჩიჩი მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და ანგარიში ხუთამდე გაზარდა.
61. ინალიშვილი კარგ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ კარგად დასრულება ველარ შეძლო.
69. მიჩიჩმა საჰაერო ორთაბრძოლა მოუგო შალამბერიძეს და ქვაჩახია უძლური იყო.
76. მიჩიჩმა კვლავ მოიგო საჰაერო დუელი. ამჯერადაც ქვაჩახიამ იმარჯვა.
77. ლიუბოევიჩი ურტყამდა თავით, ქვაჩახიას მოკავშირე ძელი აღმოჩნდა.
79. ქვაჩახიამ სლოვიჩს უძლიერესი დარტყმა აულო.
80. მათივე დუელი კვლავ ქვაჩახიას გამარჯვებით დასრულდა.
85. გოიკოვიჩს ორჯერ აჯობა ქვაჩახიამ.
90. მიჩიჩი მარცხენა ფლანგიდან შედის საჯარიმოში და 7:0.

### უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
საპასუხო მატჩები. 29 ივლისი

UEFA CUP

ბირკირკარა (მალტა) — *შახტიორი (უკრაინა)* 0:4 (1:2)
0:1 სელეზნიოვი (39), 0:2 კრივენცოვი (47პ), 0:3, 0:4 კოვალიოვი (81, 90)
პრინჩიპატი (ანდორა) — *ფერენცვაროში (უნგრეთი)* 1:8 (0:6)
0:1 სელიმი (17), 0:2 კოვაჩი (23), 1:2 პასკუ (25), 1:3 კრისტონი (50), 1:4 ნაგი (51), 1:5 იაგოდიში (57), 1:6 სელიმი (72), 1:7 კოვაჩი (81), 1:8 შულცი (83)

# საქართველოში სადა ფეხბურთი ფაფუჟ?

დასაწყისი პირველ გვერდზე

### ტრუღაილას ფული რად უნდა...

ახლა მოჰყვებიან წუწუნს, ყურით მოათრევენ ათას ფაქტს, თითიდან გამოიწოვენ ათას ერთ ბრალდებას, ჩამოგვიყვებიან უამრავ მიზეზს და ბოლოს გაამტყუნებენ ყველას, თავიანთი თავის გარდა.

დაბოლოს, ყველაფერს უფულობას დააბრალებენ.

ჩვენც ვიცით, ჩვენთვისაც ცნობილია, რომ ჭირს ფული ქართულ ფეხბურთში, საერთოდ საქართველოში ჭირს ფული (ის კი არა, ერთ-ერთი გუნდის ექიმის განცხადებით, აღდგენისთვის საჭირო „იზოსტარის“ ფხვნილის შესაძენი 25 ლარი ვერ გამოიძებნა, რათა ფეხბურთელებს ერთი თვის განმავლობაში მაინც, ვარჯიშისას გამოფიტვის არ შეშინებოდათ (!).

მაგრამ, ფეხბურთელებს ხომ სხვებთან შედარებით დალხენილი ყოფა აქვთ. მათი არც ნიჭი იკარგება, არც გარჯა, ეკონომიკურადაც ბარე ორი ქართველი ვერ შეედრება მობურთალ ბიჭებს. ქვეყნის ფონზე არც ისე სავალალოა ქართველი მოთამაშეების ცხოვრება.

მათ კი ჰყოფნით სითამამე, ამბიციურობა და უცხოეთისკენ გასაქცევად უჭირავთ თვალი. ამაზე უთქვამთ — ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო (ბოდიშს ვუხდით იმ ქართველ ფეხბურთელებს, ვინც ჩვენი ფეხბურთის დღევანდელ სახეს განსაზღვრავენ).

არა, არ უშველის ამ ხალხის გაჭირვებას მხოლოდ ფული. ფულს დახარჯავენ, წლები მოემატებათ, ამბიციებიც და უფრო მეტს მოითხოვენ. თავსაც დაგვამადლიან — შეგვხედეთ, დაგვინახეთ, დაგვაფასეთო. აიღებენ თანხას, მერე კი წავლენ და „ვლაჟნიასთან“ წააგებენ, „ცრვენა ზვეზდას“ გაეთელვინებიან, „ლომელს“ ვერ დაძლევენ, „შლემა უონდერერზთან“ შინ 0:3-ზე გათახსირდებიან...

ბიჭი ხარ და აკადრე რამე! ბუზს არ ისვამენ თავზე ქართველი ფეხბურთელები (დაბალი დონის გუნდებს — რამდენსაც გინდათ).

ნებისმიერ ქუჩურ აკადემიაში „გაქაჩავდა“ ჩვენებური ფეხბურთელების ძველბიჭური მანერები.

მე კი, ტრუსებით ათი ან ასი ათასი აბღავლებული (ზოგჯერ რომ იგინება კიდეც ისეთი) კაცის თვალწინ მორბენალი ძველი ბიჭისა, მომკალით და არ მესმის.

### ვაი ჩვენს პატრონს...

ისე ჩვენც კაი ტიპები ვართ, გულშემატკივრები. ყველას ვგულშემატკივრობთ — ბრაზილიელებს, იტალიელებს, არგენტინელებს, გერმანელებს და ამასობაში ჩვენი, ქართული, მთავარი საგულშემატკივრო გვავიწყდება. გვავიწყდება, რომ „დინამომ“ „ლივერპულს“ მარტო ოსტატობით და წვიმის გამოისობით არა, მაყურებლითაც მოუგო და თასების თასის მოპოვებაშიც ლომის წილი დაიდო იმ ასიოდე კაცმა, „რაინშტადიონზე“ რომ აგუგუნებდა „დინამო“! „დინამოს“! ერთი სიტყვით, იგებს მწვრთნელი, გუნდი, ფეხბურთელი, მაგრამ იგებს მაყურებელიც.

ჩვენ კი ავდგებით და ხან იტალიის დროშას გამოვფენთ ეროვნულ სტადიონზე, ხანაც გერმანულ ჰიმნზე გავიშტიმებით.

არა, სხვების უპატივცემულობას როდი ვქადაგებთ, მაგრამ სამშობლო უმთავრესია. იქნებ ჩვენი, გულშემატკივრების ნაპერწკლიანმა შეძახილმა მაინც გაუღვივოთ ჩვენს ფეხბურთელებს მინავლული ცეცხლი. იქნებ ჩვენ მაინც შევძლოთ დაკარგული ჯიგარი დავუბრუნოთ ქართულ ფეხბურთს.

ისე ვინ იცის, ჩვენი ფსიქოლოგიაც მომწიფდეს იმ დონემდე, რა დონითაც ნეაპოლელებმა პლაკატი გამოფინეს იტალია — არგენტინის ნახევარფინალში „ნაპოლის“ სტადიონზე — გვიყვარხარ მარადონა, მაგრამ იტალია ჩვენი სამშობლოა“. იქნებ გვახსოვდეს ყველას — მწვრთნელს, ფეხბურთელს, ფუნქციონერს, გულშემატკივარს — რომ ყველაზე მაღლა მაინც ქართული ფეხბურთი დგას — შეგინებული, დამცირებული, დაჩანჩაკებული, მაგრამ მაინც ქართული ფეხბურთი.

და თუ ეს დაგვავიწყდა — ვაი, ჩვენს პატრონს!..

## დინამოს მეტოქე

ბილბაოს „ატლეტიკი“, ესპანეთი

# წვეთი სისხლიც კი არ არის ჩემში არაბასკური

1898 · 1998

ბილბაოს „ატლეტიკი“ წლეულს ასი წლისა მოიყარა. და საკუთარი ისტორიის ასი წლის თავზე პირველი ესპანური კლუბია ქართულ გუნდს ევროთასებზე რომ შეეჭიდება.

ბილბაოს „ატლეტიკი“ ბასკეთის მშვენება, ბასკთა ისტორიის დიდი ნაწილი და სიამაყეა. ესპანეთის მიწაზე იყო ყველაზე ამაყი ხალხის სიამაყე, ცოტას სულაც არ ნიშნავს.

ბილბაოელთა კარჩაკეტილობა და გნებავთ ქედმაღლური პატრიოტიზმი საკუთარი მცირე მიწისა საქვეყნოდაა ცნობილი. „ატლეტიკს“ ლამისაა დეკლარირებული აქვს, კლუბში უხცოელი, უკეთ არაბასკი არ ათამაშოს.

ბასკეთისავე სან სებასტიანის „რეალ სოსიედადი“ ბოლო წლებია, თავს ერთიორი ლეგიონერის შეძენის უფლებას აძლევს. ამითვე იყო, ესპანეთის წინა ჩემპიონატში ბრინჯაოს მედლებს რომ დაეუფლა. ბილბაოელებმა კი ვიცე-ჩემპიონობა უამისოდაც მოიპოვეს, მით უფრო ეამაყებათ.

და ისტორიას მაინც ახსოვს გამონაკლისები — სულ ახლანდელი, ბიქსენტ ლისარასუც. ახლახანს გამსოფლიოსჩემპიონებული ფრანგი მცველი, შარშან გერმანულ მიუნხენის „ბაიერნში“ რომ გამოდიოდა, შარშანწინ სწორედ „ატლეტიკისთვის“ ირჯებოდა.

საფრანგეთის მოქალაქე ლისარასუ წარმოშობით ბასკია და ესოდენი პატივიც „ატლეტიკში“ თამაშისა წილად მიტომ ხვდა. ასეთი რა პატივიაო ბილბაოს თეთრ-წითელი მაისურის მორგება, იკითხავს ესპანური ფეხბურთის ისტორიაში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი. ასეთი, ალბათ ცოტა თუ გამოჩნდება და თუ მაინც იქნა, გვიან არასდროსაა, აგერ, „ატლეტიკის“ ტიტულებს გადახედოს.

ესპანეთის რვაგზის ჩემპიონი, თასის 23-გზის მფლობელი, უეფას თასის ფინალისტი. ასეთი მიღწევები ცოტა არცერთი ქვეყნის არცერთი კლუბისთვისაა, მაგრამ იქ, სადაც „რეალია“, იქ, სადაც „ბარსელონაა“, მითუმეტეს.

ბილბაოს „ატლეტიკი“ წლეულს ესპანეთის ვიცე-ჩემპიონობით შეხვდა საუკუნოვან იუბილეს. ჩვენი „დინამო“ ალბათ ხელს ვერ შეუშლის დღესასწაული ჩემპიონთა ლიგაში პირველად შესვლით კიდევ უფრო გააკაშკაშოს.

აქამდე ხომ მძიმე, მაგრამ მეტად დამაჯერებელი ნაბიჯებით მიჰყავდა საკუთარი გუნდი, ფეხბურთელობისას ფრანგთა ბრწყინვალე ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს, წარმოშობით კიდევ ერთ ბასკს „ატლეტიკის“ თავკაც ლუის ფერნანდესს.

**ატლეტიკი**
**ბილბაო, ესპანეთი**
დაარსდა: 1898 წელს
სტადიონი: სან მამესი (40 300)
პრეზიდენტი: ხოსე მარია არატე ლიოსა
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
ესპანეთის ჩემპიონი (8): 1930, 31, 34, 36, 43, 56, 83, 84
ესპანეთის თასის მფლობელი (23): 1902, 03, 04, 10, 14, 15, 16, 21, 23, 30, 31, 32, 33, 43, 44, 45, 50, 55, 56, 58, 69, 73, 83
ესპანეთის სუპერთასის მფლობელი: 1985

ვახტანგ ბზიძაძე

# ბათუმი

საბოლოო ადგილი წინა ჩემპიონატში: მეორე

# ვერცხლი! თასი! არ კმარა...

თქმა არ უნდა, გასული სეზონი „ბათუმისთვის“ მართლაც რომ იღბლიანი გამოდგა. ჯერ ერთი, ზღვისპირელები პირველად დაეუფლნენ ჩემპიონატის ვერცხლის მედლებს. ეს ამბავი ბოლო ტურში გახდა ცნობილი. გავიდა ოთხი დღე და... 26 მაისს გუნდმა ახალი დიდი გამარჯვება იზეიმა, მეხუთე ცდიდან, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და ეროვნულ სტადიონზე თასის ფინალი მოუგო „დინამოს“. შთამბეჭდავი რამ იყო! შინაურ სარბიელზე ახლა „ბათუმს“ ორი ჯილდოღა დარჩენია მოსაპოვებლად — ჩემპიონატის ოქრო და სუპერთასი. მეათე გათამაშება მალე დაგვეწყება და ვნახოთ, ეგებ ბათუმელებმა აღმასვლა გააგრძელონ და უმაღლესი მწვერვალი უკვე გაის გაფხულს დალაშქრონ. ხოლო სუპერთასს რაც შეეხება, ადვილი შესაძლებელია, მან სულაც ორიოდე დღეში დაიდოს ზღვისპირეთში ბინა. 2 აგვისტოს ხომ „ბათუმი“ ამ პრიზისთვის კვლავაც შეეჭიდება „დინამოს“, თანაც თავისსავე სტადიონზე. აგვისტოშივე ბათუმელებს ერთობ მკაცრი გამოცდის ჩაბარებაც უწევთ. თასების თასის პირველ ეტაპზე ისინი იუგოსლავიურ „პარტიზანს“ გაეჯიბრებიან. ერთი სიტყვით, „ბათუმი“ და მისი ქომაგნი საინტერესო ბატალიების მოლოდინში არიან. ახლა ყველაფერი გუნდის მზადყოფნაზე იქნება დამოკიდებული. ბათუმური კლუბის პრეზიდენტს, *თემურ ბეჟანიძეს* სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრეთ.



თემურ ბეჟანიძემ, მადა ჭამაშიო

— მას შემდეგ, რაც გუნდმა თასის ფინალში გაიმარჯვა, მოთამაშეები მოკლევადიან შვებულებაში გავუშვით. სამი კვირაც არ იყო გასული, რომ ადგილზე შევიკრიბეთ. მთელი თვე ფეხბურთელთა ფიზიკურ წვრთნას და თეორიულ მომზადებას მოხმარდა. პარალელურად გუნდის დაკომპლექტებაზეც მოგვიხდა ზრუნვა. 14 ივლისიდან თურქეთში გამგზავრება გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ, ჩვენგან დამოუკიდებლად, პრობლემები შეგვექმნა. სადაც უნდა ჩავსულიყავით, იქ არც სავარჯიშო მინდორი გვხვდებოდა წესრიგში და არც სპარინგ-პარტნიორები გვეყოლებოდა. ამიტომ დარჩენა ვამჯობინეთ. ეს იყო. 18 ივლისს ბათუმიდან ქობულეთში ჯადმოვინაცვლეთ და სუპერთასამდე გუნდი აქ განაგრძობს წვრთნას.

**— ბატონო თემურ, მართალია თუ არა, რომ ამბობენ, „ბათუმს“ ფინანსურად მთლად კარგად ვერ აქვს საქმეო.**

— არ ვიცი, ვინ ავრცელებს ამ ჭორებს. მართალია, ფუფუნებაში არა ვართ, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში ვცდილობთ ამ პრობლემის თავიდან აცილებას, სეზონის დამთავრებისთანავე მოთამაშეებს ვალი გავუსტუმრეთ, ხელფასები და პრემიალურები სრულიად გავეცით. დღესდღეისობით ფეხბურთელებთან ახალ კონტრაქტებს ვაფორმებთ.

**— „ბათუმი“ ბევრმა დატოვა, ზოგიც აწი აპირებს წასვლასო...**

— ძველი შემადგენლობიდან რამდენიმე ფეხბურთელი მართლაც დაგვაკლდა. გელა შეყილაძე, გეცოდინებათ, ბელგიურ „ლიერსშია“. ბელგიაშივე აპირებდა თამაშს ვანო მახარაძე, მაგრამ, მგონი, არაფერი გამოუვიდა და ახლაც თავად ეძებს კლუბს. ზირაქიშვილის გაშვებას თასის ფინალის შემდეგ ისედაც ვაპირებდით, მან კი თავად დაგვასწრო. ბოლო ტურის წინ თვითნებურად დატოვა გუნდი. მის ასავალ-დასავალზე არაფერი ვიცით. წავიდნენ სოლოღაშვილი და ნუკრი მინდიაშვილი. ჩვენთვის არც მათი ახალი ადგილსამყოფელია ცნობილი.

**— ტოგონიძის წასვლაზეა ლაპარაკი...**

— წასულები დაგისახელეთ. ამათ გარდა ყველანი გუნდში გვყავს.

**— ახალწვეულებზე გვითხარით.**

— შოთა ჭეიშვილმა გასასინჯად საკმაოდ ბევრს უხმო. საბოლოოდ თუ ვინ დარჩება გუნდში, ცოტა მოგვიანებით შევიტყობთ.

**— და მაინც, გვაინტერესებს ვინ ისინჯება.**

— რა გაეწყობა, ჩამოვითვლით. თავდამსხმელები თემურ გადელია, რომელიც ბოლო დროს სარატოვში თამაშობდა და მამუკა რუსია თსუ-დან. მცველები მერანელი რომეო გოგიტაძე, თსუელი დიმიტრი ვერემჩუკი, ბოლნისელი არჩილ შაკიაშვილი და ზვიად პაპიძე. ეს ფეხბურთელი, გერმანული მეოთხე ლიგის სერბულ კლუბ „პროგრესში“ გამოდიოდა, მანამდე „მრეტებში“ და საქრთველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია. ორი ქობულეთელი ბიჭი გვყავს, მეკარე პაატა გაბუნია და ნახევარმცველი კახა სიხარულიძე. ბათუმის საფეხბურთო სკოლიდანაც ავიყვანეთ რამდენიმე პერსპექტიული მოთამაშე.

**— თემურ ტუღუში დაგიბრუნდათ...**

— ტუღუშმა ერთი წელი ითამაშა ისრაელში. ეტყობა, იქაურობას ვერ შეეგუა და უკან დაბრუნდა. ვიმედოვნებთ, ძველებური შემართებით გაირჯება და სარგებელსაც მოუტანს გუნდს.

**— ჭიჭველიშვილზეც გვითხარით. მთელი თვე „დინამოში“ ვარჯიშობდა და ახლა თქვენთანაა.**

— დათოს 8 აგვისტოს უმთავრდება ჩვენთან კონტრაქტი. ესეც რომ არა, მას ნათქვამი ჰქონდა, თუ კი „ეინდჰოვენში“ ან რომელიმე სხვა უცხოურ კლუბში ვერ მოხვდებოდა, ისევ ბათუმში გააგრძელებდა თამაშს. ფეხბურთელის სურვილი ასეთი იყო. ძალდატანებით არაფერი მომხდარა.

**— საკონტროლო თამაშები თუ გქონდათ?**

— ძალიან ცოტა, თანაც სრული შემადგენლობით არც ერთი არ გვითამაშია. ორჯერ თბილისის „არსენალს“ შევხვდით (2:4, 0:1) და ერთხელაც „გურიას“ (3:2). სუპერთასამდე თურქულ „ხოფასფორთან“ ვაპირებთ თამაშს.

**— სუპერთასი ახსენეთ. ამ თამაშზე რას ფიქრობთ?**

— „დინამოს“ ორჯერ უკვე დავუთმეთ და, ვეცდებით, არ გავასამოთ. გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ამის უნარი შეგვწევს. მით უმეტეს, საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ.

**— ბათუმელები ყველანი ჯანზე არიან, ტრავმირებულები ხომ არა გყავთ?**

— თორლაშვილმა პირველი შეკრების დროს სერიოზული ტრავმა მიღო და ვარჯიშები გამოტოვა. ახლა უკეთ გრძნობს თავს და ინდივიდუალური გეგმით ემზადება. ფუტკარაძემ კი ამასწინათ მენისკის ოპერაცია გაიკეთა და მოგვიანებით შეუერთდება გუნდს.

**— თასების თასზე „ბათუმი“ იუგოსლავიურ „პარტიზანს“ ხვდება...**

— იუგოსლავიური კლუბები ხელწამოსაკრავი არასოდეს ყოფილან და ახლაც სოლიდურად გამოიყურებიან. ეს „ცრვენა ზვეზდამაც“ დაგვიმტკიცა „კოლხეთთან“ პაექრობისას. „პარტიზანი“ და „ცრვენა“ დაახლოებით ერთი დონისა არიან. ურთულესი ბრძოლები გველოდება. ეს კარგად გვაქვს შეგნებული. შევეცადეთ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოგვეპოვებინა მეტოქეზე. იუგოსლავიის თასის ფინალში „პარტიზანმა“ ორ მატჩში (0:0, 2:0) ქვეყნის ჩემპიონ „ობილიჩს“ სძლია. ამ თამაშის ვიდეოჩანაწერს ვფლობთ ამას გარდა, „პარტიზანის“ მიერ ჩემპიონატში გამართული რამდენიმე მატჩის ფირიც გვაქვს. ყველაფერ ამაში ბატონი ასლან აბაშიძე დაგვეხმარა. ფირები სწორედ მან გადმოგვცა. პროგნოზისგან თავს შევიკავებ. ერთს კი ვიტყვი, არცთუ დიდი ხნის წინ, იგივე თასების თასზე „ობილიჩი“ დაგვიმარცხებია და „პარტიზანთან“ თამაში შეიძლება, ღირსეულადაც.

**— ეროვნულ ჩემპიონატში რას აპირებთ?**

— წინა გათამაშებაში მეორე ადგილზე გავედით და უკან დახევა საქმეში აღარ ჩაგვეთვლება.

იუზა ძაციტაძე

## ტრანსფერი 98

**წავიდნენ**

| | |
|---|---|
| შეყილაძე | *ლიერსი, ბელგია* |
| ნ. მინდიაშვილი | *ლოკომოტივი* |
| ი. მახარაძე | *?, უცხოეთი* |
| სოლოღაშვილი | *?* |
| ზირაქიშვილი | *?* |

**მოვიდნენ**

| | |
|---|---|
| ტუღუში | *ბნეი იეჰუდა, ისრაელი* |
| გადელია | *სოკოლ პულ, რუსეთი* |
| ზ. პაპიძე | *პროგრესი, გერმანია* |
| რუსია | *თსუ* |
| ვერემჩუკი | *თსუ* |
| გოგიტაძე | *მერანი* |
| შაკიაშვილი | *სიონი* |
| პ. გაბუნია | *გურია* |
| კ. სიხარულიძე | *შუქურა* |

# ვიტ ჯორჯია

საბოლოო ადგილი წინა ჩემპიონატში: მეათე

# იმედით ხვალის

საქართველოს მეათე ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირაც არ დარჩა. გუნდები გამალებულ სამზადისში არიან. ემზადებიან, ზოგი დასარჩენად, ზოგი ევროთასებზე გასასვლელად, ზოგსაც უბრალოდ კარგი თამაში და გულშემატკივრის სიამოვნება განუზრახავს. ასეთ კლუბებს თბილისის „ვიტ ჯორჯიაც“ განეკუთვნება. წინა ჩემპიონატში ვეტერინარებმა მეათე ადგილი დაიკავეს, თუმცა გაცილებით მეტის მიღწევაც შეეძლოთ. რაც შეეხება წლევანდელ სეზონს, ამასთან დაკავშირებით გავესაუბრეთ „ვიტ ჯორჯიას“ მთავარ მწვრთნელს *სპარტაკ არჩვაძეს*, რომელმაც გუნდის საჭე ელგუჯა გუგუშვილისგან ორიოდე თვის წინ გადაიბარა.



სპარტაკ არჩვაძე იმედიანადაა

— ვარჯიშს 16 ივნისიდან შევუდექით, მოსამზადებელი პროცესი ძირითადად თბილისში გავიარეთ, დილით კუს ტბის მიდამოებში ფიზიკურად ვვარჯიშობდით, საღამოს კი მცხეთაში ჩვეულებრივი წვრთნა გვქონდა. დაგეგმილი იყო მუხრანში ათდღიანი შეკრება, მაგრამ ორმოცამდე ფეხბურთელი გამოვცადეთ და ამის გამო ველარ წავედით, თორემ შეგვეძლო, ზღვისპირეთშიც მოვმზადებულიყავით.

**— რა ცვლილებებია გუნდში?**

— დაგვტოვა ცხრა წამყვანმა ფეხბურთელმა. წავიდნენ ისინი, ვინც, თითქმის კლუბის დაფუძნების დღიდან აქ თამაშობდა. კევლიშვილი, ჭუმბურიძე, ილურიძე, ალავიძე, ჯანელიძე ის ბიჭები არიან, რომლებმაც „ვიტ ჯორჯია“ აქამდე მოიყვანეს. რაც შეეხება შევსებას, დავიმატეთ საკმაოდ პერსპექტიული ახალგაზრდები: ყიფიანი, მუჯირი, გრიგოლ გვაზავა, ბოკერია, „მერანიდან“ დავიბრუნეთ აბაზაძე და კაპანაძე, ესენი ადრე ჩემთან ვარჯიშობდნენ. „ვიტ ჯორჯიაში“ უნდა ეთამაშა კახა გოგოლაძესაც, მაგრამ ისრაელის ვარიანტი გამოუჩნდა და წასვლა ამჯობინა. ფაქტობრივად, ახალი გუნდი ჩამოვაყალიბეთ, თუმცა მისი დიდი იმედი მაქვს.

**— საკონტროლო მატჩები თუ გამართეთ და ვისთან?**

— ჩავატარეთ ცხრა თამაში, ექვსი მოვიგეთ, ერთი ფრედ დავასრულეთ, ორი კი წავაგეთ. „მეტალურგს“ ვეთამაშეთ შინ და რუსთავში, აქ 6:2 მოვუგეთ, სტუმრად 2:3 დავმარცხდით. ფრედ 0:0 დავამთავრეთ მატჩი „დინამოს“ ძირითად შემადგენლობასთან, მეორე გუნდს ვძლიეთ. ბოლოს 25-ში თსუ-ს შევხვდით და 3:1 დავამარცხეთ. უკანასკნელ საკონტროლო მატჩს „ლოკომოტივთან“ გავმართავთ.

**— ზოოვეტისა და „შევარდენის“ სტადიონზე რატომ თქვით უარი?**

— ჩვენი ხელმძღვანელობა აყალიბებს ფარმ-კლუბს — „ვიტ ჯორჯია 2“, ზოოვეტზეც სწორედ იგი იასპარეზებს. „შევარდენის“ სტადიონზე კი ფინანსური მოსაზრებების გამო ვთქვით უარი, მცხეთაში უფრო ხელსაყრელი პირობებია. ამიტომ მეათე ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს „არმაზზე“ გავმართავთ.

**— როგორ არის გუნდი დაკომპლექტებული, შეგიძლიათ დაახასიათოთ თითოეული რგოლი?**

— უკანა ხაზი სტაბილურია. არის პატარა ხარვეზები, მაგრამ იმედია, ჩემპიონატის დაწყებამდე გამოვასწორებთ. ნახევარდაცვით მეტ-ნაკლებად კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება თავდასხმას, ამ მხრივ პრობლემები თითქოს არ უნდა შეგვქმნოდა, მაგრამ შეტევის ლიდერი გოჩაშვილი ერთი კვირაა აღარ გამოჩენილა. ხმები მომივიდა, ვილაცამ თურქეთში წაიყვანა გასასინჯადო. თუ დროზე არ დაბრუნდა, შესაძლოა, აღარ მივიღოთ.

**— არის გუნდში ისეთი ფეხბურთელი, გადამწყვეტ მომენტში ლიდერის ფუნქციის შესრულება რომ ძალუძდეს?**

— დიახ, ასეთი ფეხბურთელი გვყავს, ვასილ მაისურაძე გუნდის ნამდვილი ლიდერია. მას შეუძლია საჭიროებისდაგვარად საკუთარ თავზე აიღოს თამაში და ბიჭებიც აიყოლიოს. გარდა ამისა, იგი შესანიშნავი პიროვნებაა.

**— უცხოეთში გაქცევაზე ხომ არ უჭირავს ვინმეს თვალი?**

— არა, არავის გაშვებას არ ვაპირებთ, პირიქით, გვინდა ნიჭიერი ახალგაზრდები მოვიზიდოთ. ასეთი ბიჭების წასვლა გაუმართლებლად მიმაჩნია, მათ ჯერ აქ უნდა მიაღწიონ გარკვეულ დონეს.

**— რა მიზანს უსახავთ გუნდს მომავალ ჩემპიონატში?**

— ჩვენი მთავარი ამოცანა ლამაზი ფეხბურთის თამაშია. რაც შეეხება ადგილს, იმედია, შარშანდელზე მეტს მივაღწევთ. მართალია, გამოუცდელი ახალგაზრდები არიან, საშუალო ასაკი 20-21 წელია, მაგრამ მაისურაძე და დვალიშვილი მათ დიდ დახმარებას გაუწევენ. მიზანი მაინც ათეული იქნება, ისე, თუ სათანადოდ გავირჯებით და ფეხბურთელებიც ჩემს დავალებას თუ შეასრულებენ, რასაც ჯერჯერობით აკეთებენ, არც ხუთეული მეჩვენება მიუწვდომლად. ვნახოთ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

**— ფინანსური მდგომარეობა როგორია?**

— კლუბის ხელმძღვანელობამ ყველა პირობა შეგვიქმნა ნორმალური მომზადებისთვის. რაც შეეხება ხელფასებს, მაღალი არა, მაგრამ სტაბილური იქნება. არ შეიძლება არ აღინიშნოს გუნდის პრეზიდენტის გურამ რუხაძის ღვაწლი. იგი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია და უანგაროდ ემსახურება ქართულ ფეხბურთს.

**— გუნდის მზადებაში ვინ გეხმარებათ?**

— გარდა იმისა, რომ სერგო კოტრიკაძე კლუბის ვიცე-პრეზიდენტია, მეკარეებსაც ავარჯიშებს და დიდად მეხმარება. ჩემს გვერდითაა აგრეთვე თენგიზ კუბლაშვილი, რომელიც თავისი საქმის ჩინებული სპეციალისტია. კონსულტანტად გვეყოლება ბატონი ელგუჯა გუგუშვილი, რომელიც ზოოვეტერინალური ინსტიტუტის რექტორად დაინიშნა და ამის გამო ისე აქტიურად ველარ დაეხმარება გუნდს.

**— ახალი პრინციპით შედგენილ კალენდარზე რას იტყოდით, კმაყოფილი ხართ?**

— მისი შედგენისას ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ კენჭისყრისას ვინც ცხრა ნომერს ამოიღებდა, პირველ ორ ტურში სტუმრად თამაში უწევდა. ბედმა იგი ჩვენ გვარგუნა და ამიტომ 7 აგვისტოს ბათუმს ვესტუმრებით, მეორე ტურში კი „არსენალს“, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვეცდებით, არაფერი დავთმოთ.

ვანო ოქროპირიძე

## ტრანსფერი 98

**წავიდნენ**

| | |
|---|---|
| დ. ჯანელიძე | *ლოკომოტივი* |
| ჭუმბურიძე | *თსუ* |
| გ. ილურიძე | *თსუ* |
| კევლიშვილი | *?, საქართველო* |
| ალავიძე | *? საქართველო* |
| მ. ბურდული | *? საქართველო* |

**მოვიდნენ**

| | |
|---|---|
| აბაზაძე | *მერანი* |
| კაპანაძე | *მერანი* |
| ყიფიანი | *მეტალურგი* |
| ბოკერია | *მეტალურგი* |
| ზ. გვაზავა | *მეტალურგი* |
| გ. გვაზავა | *თსუ* |
| კ. მუჯირი | *თსუ* |
| ენუქიძე | *ლოკომოტივი* |
| ჭანკოტაძე | *შსს აკადემია* |
| კვიციანი | *შსს აკადემია* |

# ტოგონიძე დემობილიზებულია

გუშინდელ „სარბიელში“ ვიუწყებოდით ეროვნული ნაკრებისა და ბათუმის „დინამოს“ მეკარის ნიკა ტოგონიძის მოსკოვის არმიელთა გუნდში შესაძლო გადაბარგებაზე. ჩვენი ინფორმაცია „როიტერის“ სააგენტოსგან გუშინწინ გვიან ღამით მიღებულ ცნობას ეყრდნობოდა.

გუშინაც ვთქვით, გვიანობის გამო ბათუმელთა გუნდის თავკაცებას ვერ დავუკავშირდით და ყოველივეს გადამოწმება ვერ შევძელითო. თუმცა გუშინვე შევეხმიანეთ კლუბის პრეზიდენტს, ბატონ თემურ ბეჟანიძეს, რომელმაც კატეგორიულად უარყო ცნობა ტოგონიძის ტრანსფერის შესახებ და ნიკას ქობულეთში ყოფნა დაადასტურა.

ეტყობა, „როიტერის“ სააგენტო ქართულ პრესაში გავრცელებულმა ცნობამ შეიყვანა შეცდომაში. ასე რომ, მისდაუნებურად, საქართველოს ეროვნული ნაკრების მეხამრიდმა სულ რაღაც ხუთ დღეში რუსულ არმიაში სამსახური და დემობილიზებაც მოასწრო.

ხვიჩა სანიკიძე

# გვარამაძე ინტერთან ვერ ითამაშებს

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში რიგის „სკონტომ“ შინ 0:0 ითამაშა მინსკის „დინამოსთან“. თუმცა მატჩის შემდეგ ლატვიელები იქადნებოდნენ, ბელარუსში მეტოქეს შანსს არ დავუტოვებთო. „სკონტომ“ დანაპირები შეასრულა და 2:1 გაიმარჯვა. 12 აგვისტოს ლატვიელები „ინტერს“ დაუპირისპირდებიან. ოთხშაბათის შეხვედრაში რიგელთა მწვრთნელ სტარკოვს საგანგებოდ გამოურჩევია თავისი გუნდის დაცვის კარგი თამაში. მაღალი შეფასება დაიმსახურა ლევან სილაგაძემაც. ჩვენებურთაგან მინსკში მარტო იგი გარჯილა. სამი დღის წინ რეხვიაშვილსაც დაუწყია ვარჯიში და იმედოვნებს, რომ „ინტერთან“ თამაშს სრულფასოვნად მომზადებული შეხვდება. რაც შეეხება დავით გვარამაძეს, იგი დღეისთვის თბილისშია და „დინამოს“ ბაზაზე ვარჯიშობს. „სკონტოს“ დატოვება მას, ალბათ, გუნდში კარავაევის დაბრუნებამაც გადააწყვეტინა. ადვილი შესაძლებელია, კოშკა საქართველოშივე დარჩეს.

ბაატა ძვანტალიანი

# ვაშა, ის მოდის! ვაშა, ის მიდის!



სარბიელის არქივიდან

ᲞᲐᲢᲠᲘᲙ ᲙᲚᲣᲘᲕᲔᲠᲢᲘ, ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი, რომელმიც ახლახან დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე თავი ხულიგნობითაც ისახელა და თამაშითაც, შეიძლება „ოლდ ტრეფორდზე“ აღმოჩნდეს.

„ოლდ ტრეფორდი“, მოგეხსენებათ ინგლისში „მანჩესტერ იუნაიტედის“ სტადიონია. მოკლედ, როგორც საგენტოები ამბობენ, კლუივერტზე თვალი „იუნაიტედის“ ბოსს ალექს ფერგიუსონს დაუდგამს.

ჰოლანდიელი ფორვარდი „აიაქსში“ გატარებული ბრწყინვალე სიჭაბუკის მერე, როგორც იცით, იტალიურმა „მილანმა“ შეიძინა, მაგრამ იქ მან ფეხი ვერ მოიკიდა. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტის ადრიანო გალიანის განცხადებით, მისმა კლუბმა მართლაც მიიღო წინადადება მანჩესტერელთაგან, რომლებიც იტალიელებს, თურმე, 22 წლის თავდამსხმელში 9 მილიონ გირვანქა სტერლინგს სთავაზობენ.

„ასეთმა წინადადებამ ძალიან გვასიამოვნა“ — თქვა გალიანიმ. „მილანის“ სპორტული დირექტორი არლედო ბრაიდა უკვე გაემართა ლონდონს მანჩესტერელებთან მოსალაპარაკებლად.

„იუნაიტედი“ საკუთრივ კლუივერტს ჯერ არ გარიგებია. ამბობენ, მოთამაშემ ნახევარი მილიონი მხოლოდ თანხმობაში მოითხოვა, ამ თანხის გადამხდელი კი ფერგიუსონი არის, ხოლო „არსენალის“ ფრანგი შეფი არსენ ვენგერი არაო.

ახლა ყველას გაახსენდა ფერგიუსონის შარშანდელი ნათქვამი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ევროპულ ასპარეზზე დიდ წარმატებას რომ მიაღწიოს, მაღალი კლასის თავდამსხმელი მჭირდებაო.

ასეთად „იუნაიტედის“ ბოსს გაუპატიურებისა და სასიკვდილო აჯტოავარიის გამო ჰოლანდიურ სასამართლოში ნარბენი პატრიკ კლუივერტი მიუჩნევია.

# ძმები ამსტერდამში

ძმები ფრანკ და რონალდ დე ბურები ამსტერდამიდან ფეხს ვერ მოიცვლიან — კონტრაქტის დასრულებამდე ისინი „აიაქსის“ საკუთრება არიან და უნდათ თუ არა, მშობლიურ კლუბში მოუწევთ დარჩენა.

ეს გადაწყვეტილება გუშინ მიიღო ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაციის საარბიტრაჟო სასამართლომ, სადაც ძმებმა ამ რამდენიმე დღის წინ იჩივლეს. დე ბურებს „აიაქსთან“ 2004 წლამდე აქვთ კონტრაქტი, მაგრამ ფრანკს „ბარსელონაში“ სურდა გადაბარგება, რონალდს კი „არსენალში“. ორივე ტრანსფერი გუნდს გულზე არ ეხატებოდა.

— „აიაქსი“ ღრმადაა დარწმუნებული, რომ ძმები ვალდებულებებს კეთილსინდისიერად შეასრულებენ. გუნდს ისინი სჭირდება. ასე რომ არ ყოფილიყო, ორივე თავის გზას ნახავდა და აღარც კლუბი შეაყოვნებდა მათ ტრანსფერს. იმედია, ფრენკი და რონალდი გაისადაც ისევე გაირჯებიან, როგორც აქამდე — განაცხადა „აიაქსის“ წარმომადგენელმა იონ ვან დერ ველტმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

ერთი სიტყვით, დავა, რომელიც კარგა ხანს გრძელდებოდა, საბოლოოდ გადაწყდა, მოთამაშეთა სამწუხაროდ, „აიაქსის“ სასარგებლოდ. გასული სეზონის დასაწყისში „აიაქსსა“ და მარკ ოვერმარსს შორის იგივე პრობლემა წარმოიშვა — თავდამსხმელის გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი ჰქონდა, მაგრამ ვადამდე სურდა „აიაქსის“ დატოვება. მაშინ ოვერმარსმა საწადელი აისრულა, ახლაც იგივეს ელოდნენ, თუმცა დე ბურებს იმედი გაუცრუვდათ.

— ვერ გეტყვით, რამდენად გაუხარდათ მათ სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ იმედს ვიტოვებ, კლუბის მიმართ მაინცდამაინც მტრულად არ განეწყობიან. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, კარგია, რომ ისინი ჩვენთან დარჩნენ. ფრანკიც და რონალდიც ძლიერი მოთამაშეები არიან და „აიაქსს“ ძალიან წაადგებიადნენ — ამსტერდამელთა დანიელი მწვრთნელი მორტენ ოლსენი გახარებული ჩანდა.

მოკლედ, ფრანკ და რონალდ დე ბურები კვლავ „აიაქსში“ ითამაშებენ.

# ბექემი ჩქარა!

დევიდ ბექემი. ინგლისის ნაკრების პოპულარული ნახევარცმველი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში, არგენტინელებთან ბრძოლისას მოედნიდან გააძევეს, პოპ-ჯგუფის „სფაის გელზის“ მომღერლის, ვიქტორიას თანამეცხედრე, არაა გამორიცხული „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ ესპანურ „ბარსელონაში“ გადავიდეს.

ეს ცნობა გაზეთ „მირორში“ გამოჩნდა. თურმე კატალონიური გიგანტი ბექემის ხელში ჩასაგდებად 17 მილიონი გირვანქის გადახდას აპირებს და თან საქმის გაკვაჭვა ეჩქარება, რადგან 15 აგვისტოს უეფა განაცხადების მიღებას წყვეტს, ხოლო თუ „ბარსამ“ ნახევარმცველის შეძენა ამ თარიღამდე ვერ მოასწრო, მას ჩემპიონთა ლიგაში ველარ ათამაშებს.

„მირორის“ ცნობის თანახმად კატალონიიდან მანჩესტერში ფაქსი უკვე ნაფრენია. გარდა ყველაფრისა, „ბარსას“ ბოსები აცხადებენ, რომ ბექემი მათთან უსაფრთხოდ იგრძნობს თავს ანუ ბოლო მოეღება იმ ისტერიულ კამპანიას, ზემოხსენებული გაძევების შემდეგ მოთამაშის წინააღმდეგ ინგლისში რომ წამოიწყეს.

ბევრმა ხომ ნაკრების გავარდნა სწორედ ბექემს დააბრალა.



სარბიელის არქივიდან

არგენტინელებთან შეხვედრისას გაძევება ბექემს ძვირად დაუჯდა

ᲚᲔᲕᲔᲠᲙᲣᲖᲔᲜᲘᲡ „ბაიერის“ ძირითადი მეკარე დირკ ჰაინენი მძიმედ დაშავდა. შეგახსენებთ, 27 წლის ფეხბურთელმა ტრავმა „არმინიასთან“ საწვრთნელ მატჩში, ბილეფილდელ იორგ ბომესთან შეჯახებისას მიიღო. ექიმების თავდაპირველი ვარაუდით ჰაინენს ექვსი თვე უნდა დაესვენა. ამ ცნობამ ლევერკუზენელთა ხელმძღვანელობა დაამწუხრა. „მისი არყოფნა ნამდვილად დიდ პრობლემებს შეგვიქმნის“ — განუცხადა კლუბის მთავარმა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა ჟურნალისტებს. ბუნებრივია, გუნდს, რომელიც შინაურ ჩემპიონატშიც და ევროთასებზეც დიდი



ანდრეას კიოპკე

მიზნებისათვის აპირებს ბრძოლას, მაღალი კლასის მეკარის გარეშე გაუჭირდებოდა და აი, გუშინ გავრცელდა ცნობა, „ბაიერი“ მარსელის „ოლიმპიკის“ გოლკიპერ ანდრეას კიოპკეს ყიდულობსო. ეს ინფორმაცია სიმართლესთან ახლოსაა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატზე კიოპკეს არადამაჯერებელი თამაშის შემდეგ მარსელელები მის გაყიდვას აპირებენ. ერთხანს იმაზეც იყო საუბარი, „ოლიმპიკი“ ესპანურ „სალამანკას“ თავის გერმანელ ლეგიონერს რუმინელ ბოგდან სტელეაში უცვლის და თან 4 მილიონ დოლარსაც უმატებსო, თუმცა ეს როქი უცნობი მიზეზების გამო არ განხორციელდა. ერთი კი ცხადია — კიოპკე „ოლიმპიკში“, ალბათ, აღარ ითამაშებს, მარსელში დარჩენა მას სათადარიგოებში გამწესებას უქადის. კიოპკესი არ ვიცით, მაგრამ ჰაინენთან დაკავშირებით გუშინ საღამოს ვითარება მკვეთრად შეიცვალა. „დირკს ჩინებულმა სპეციალისტებმა გაუკეთეს ოპერაცია. ქირურგიული ჩარევა იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ მეკარე მწვანე მინდორს რვა კვირაში დაუბრუნდება“ — განაცხადა კმაყოფილმა „ბაიერის“ ექიმმა პფაიფერმა — „ორი თვე ნახევარი წელი არ არის, მაგრამ არც ისე ცოტაა“. კიოპკეს თაობაზე გერმანული კლუბის წარმომადგენლები ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებენ. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა.

ᲕᲐᲜᲝ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ

## ფეხბურთის რუკასთან



ᲒᲕᲘᲜᲔᲔᲚᲘ თავდამსხმელი აბუბაჯარ „ტიტი“ კამარა, შესაძლოა, საფრანგეთიდან კერძოდ, მარსელის „ოლიმპიკიდან“ ინგლისის პრემიერლიგის „ტოტენჰემ ჰოთსპურში“ გადავიდეს. კამარას მოსალოდნელი ტრანსფერი იმის შედეგია, რომ ფორვარდმა ფრანგულ გუნდში რობერ პირესის, კრისტოფ დიუგარის, ფლორიან მორისისა და იტალიელი ფაბრიციო რავანელის მძაფრ კონკურენციას ვერ გაუძლო. რა რაოდენობის თანხას გადაიხდიან ინგლისელები კამარაში, უცნობია.

**ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲛ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი გამოთქვა, თუმცა, ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტის რიკარდო ტეიშეირას განცხადებით, მართალია, ქვეყანა ახლა არ აკმაყოფილებს ფიფას მოთხოვნებს, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრა 2006 წლამდე სრულიად შესაძლებელია. ბრაზილიელთა სურვილს, უმასპინძლონ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატს, უმალ დაუჭირა მხარი სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციამ.**

ᲐᲚᲟᲘᲠᲔᲚᲘ ნახევარმცველი, ალი ბენარბია, რომელიც ბოლო წლებში „მონაკოს“ ღირსებას იცავდა, რამდენიმე დღის წინ ბორდოს „ჟირონდაში“ გადავიდა. 30 წლის გამთამაშებელმა ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა მისი ჯამაგირის, ანაც სატრანსფერო თანხის თაობაზე არაფერია ცნობილი. ბენარბია ბორდოს“ მესამე ახალწვეულია მცველ ვიქტორ ტორეს-მესრესა და ნახევარმცველ არვი ალიკარტეს შემდეგ.

**ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲛᲐ ჯონ კოლინზმა საბოლოოდ გააფორმა კონტრაქტი ინგლისურ „ევერტონთან“. 30 წლის ფეხბურთელი „მონაკოდან“ ლივერპულის ამ კლუბში 2,5 მილიონ გირვანქად გადავიდა. კოლინზის ასეთი ნაბიჯი იმით ყოფილა განპირობებული, რომ „ევერტონში“ ახალი მწვრთნელი მივიდა, შოტლანდიელი ვალტერ სმიტი. „მოლაპარაკებებს რამდენიმე კლუბთან ვაწარმოებდი, მაგრამ ვალტერის ფაქტორმა თავისი როლი ითამაშა. მას 12 წლიდან ვიცნობ, ჯერ კიდევ „დანდი იუნაიტედში“ ერთი ვარჯიში რომ ჩაგვიტარა. ბრიტანეთში დაბრუნება კიდევ იმიტომ გადავწყვიტე, რომ მომენატრა მშობლიური გარემო. ქომაგობის ჩვენებური წესი“ — თქვა ნახევარმცველმა. კოლინზის გარდა „სელტიკმა“ იყიდა „სტრასბურის“ ოლვიერ დაკურტი, „პერუჯას“ მარკო მატერაცი და კიდევ ერთი სქოთი, „რეინჯერსის“ ყოფილი მოთამაშე ალექს კლილენდი.**

ᲤᲠᲐᲜᲒ მსოფლიოს ჩემპიონ მცველ ფრანკ ლებეფზე ჭორები დაყარეს „ჩელსი“ ჰყიდისო, მაგრამ კლუბის დირექტორმა კოლინ ჰაჩინსონმა ხაზგასმით განაცხადა: „მისი გასხვისება თავში აზრადაც არ მოგვსვლია. ჩვენთვის მის თაობაზე ერთ კლუბსაც არ მოუმართავს და არც რომელიმე აგენტი შეგვხმიანებია“ — მიუხედავად ამისა არ წყდებოდა საუბარი 7 მილიონ გირვანქაზე, რომელიც თითქოსდა „ლივერპულს“ უნდა გაეღო და ოველივე ამის უკან თითქოს სწორედ ლებეფის აგენტი იდგა. „თვალებში შევხედე ამ აგენტს და ჯიქურ ვკითხე, არჩევანზე რომ მიდგეს საქმე ფრანკი ჩვენთან დარჩენას ამჯობინებს თუ „ლივერპულში“ გადასვლას?“ — განაგრძო ჰაჩინსონმა — „ერთ კვირაში აგენტმა ცალსახა პასუხი გამცა, ლებეფს თქვენთან დარჩენა სურსო“. შეგახსენებთ, რომ ფრანკ ლებეფი „ჩელსიმ“ „მარსელისგან“ ორი წლის წინ 2 მილიონ გირვანქად იყიდა და კონტრაქტი 2001 წლამდე გაუფორმა.

**ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲔᲚᲘ კარლოს აგილერა, რომელიც სამშობლოში, პირველი დივიზიონის „პენიაროლში“ თამაშობს კოკაინის ყნოსვაზე გამოიჭირეს და ორწლიან დისკვალიფიკაციას უსჯიან. ეს ცნობა ქვეყნის ფიზიკური განათლების ეროვნულმა კომიტეტმა დაადასტურა. ტესტი, რომელზეც აგილერას დადებითი პასუხი დაუმტკიცდა 19 მაისს, „პენიაროლისა“ და „ნასიონალის“ შეხვედრის შემდეგ ჩატარდა. 34 წლის ფეხბურთელი შინ დაბრუნებამდე იტალიაში „ჯენოასა“ და „ტორინოში“ თამაშობდა, არგენტინაში კი — „რასინგში“.**

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲛᲐ „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ განაცხადა, რომ მისი და ქვეყნის ეროვნული გუნდის მოთამაშე, ფერადკანიანი მცველი სოლ კემპბელი დასასვენებლადაა წასული და არა იტალიურ „მილანთან“ მოსალაპარაკებლად. „სპურზი“ 23 წლის კემპბელს მომდევნო კვირას საწვრთნელ ბანაკში ელის. „სოლს მილანში ხელი არაფერზე მოუწერია“ — თქვა ლონდონელთა პრესატაშემ — „ის მხოლოდ და მხოლოდ შვებულებაშია და ორშაბათს უნდა დაბრუნდეს“.

**ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲚᲛᲐ მეკარემ ფლორინ პრუნიამ განაცხადა, რომ ბუქარესტის „დინამო“ დასტოვა და ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა თურქეთის პირველი დივიზიონის გუნდს „ერზრუმსფორს“. „ამ კლუბმა ჩემი მოთხოვნები დააკმაყოფილა და ამიტომაც დავუდე ხელშეკრულება“ — თქვა პრუნიამ. 30 წლის გოლკიპერი, რომელსაც ქვეყნის ეროვნულ გუნდში 34 შეხვედრა აქვს ჩატარებული, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში „დინამოს“ კლუქის „უნივერსიტატიასთვის“ ჰყავდა მითხოვებული. პრუნიამ თურქულ გუნდთან დადებული კონტრაქტის ფინანსურ მხარეზე საუბარი არ ისურვა. მხოლოდ ეს თქვა: „თურქეთში ოთხჯერ მეტ ფულს მივიღებ, ვიდრე რუმინეთში მქონდა“.**

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲘ ფეხბურთელი დედე მინას ჟერესისი „ატლეტიკოდან“ დორტმუნდის ბორუსიაში გადავიდა. ბრაზილიური კლუბის წარმომადგენლის ცნობით, მოლაპარაკებები შვიდ თვეს გრძელდებოდა და საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდა. 19 წლის თავდამსხმელის შეძენა დორტმუნდელებს 3,65 მილიონი დოლარი დაუჯდათ.

**ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ამერიკაში ოთხშაბათს გაიმართა მერკოსურის თასის გათამაშების პირველი რაუნდის მატჩები. A ჯგუფში არგენტინულმა „სან ლორენსომ“ ბრაზილიურ „კრუზეიროს“ 2:1 მოუგო. B ჯგუფში ბრაზილიის „პალმეირასმა“ არგენტინის „ინდეპენდიენტეს“ 2:1, ხოლო ურუგვაის „ნასიონალმა“ ჩილეს „უნივერსიდად დე ჩილეს“ 1:0 სძლიეს. რაც შეეხება D ჯგუფს, აქ ბრაზილიურმა „ფლამენგომ“ პარაგვაის „სერო პორტენო“ 2:0 დაამარცხა.**

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲛᲐ ნახევარმცველმა ფრანჩესკო მორიერომ „ინტერს“ არ უღალატა და მომავალ სეზონსაც მილანურ კლუბში გაატარებს. „ინტერის“ ფეხბურთელის გადაბირებას რამდენიმე ინგლისური კლუბი ცდილობდა, მათ შორის, „არსენალი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „მიდლსბრო“. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი აქტიურობდა, თუმცა თუ მიდლსბროელებმა „ინტერის“ დაყაბულება შეძლეს, თავად მორიერო ვერაფრით მოხიბლეს. ინგლისის ლიგის თასის ზედიზედ ორგზის ფინალისტებმა მორიეროს ძალიან ხელსაყრელი წინადადება შესთავაზეს (ხუთ წელიწადში 10 მილიონ გირვანქას მიიღებდა), მაგრამ ფრანჩესკომ განაცხადა, სახელი და დიდება „ინტერში“ მოვიპოვე, ასე უცბად ყველაზე იღბლიანი გუნდის დატოვება არაფრით იქნებაო. გასული სეზონის მანძილზე კარგი თამაშის წყალობით მორიერომ „სკუადრა ამურას“ ძირითადში დაიბევა ადგილი.

## რუსეთი

მე-18 ტური. სპარტაკი — დინამო 2:0, ტორპედო — ზენიტი 1:3, ცსკა — ლოკომოტივი 0:1, ტიუმენი — ჟემჩუჟინა 0:1, კრილია სოვეტოვი — ურალანი 2:0, როსტსელმაში — შინიკი 3:2, როტორი — ჩერნომორეცი 3:0, ბალტიკა — ალანია 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 18 | 11 | 5 | 2 | 23:11 | 38 |
| ზენიტი | 18 | 9 | 7 | 2 | 29:13 | 34 |
| ლოკომოტივი | 18 | 8 | 5 | 5 | 19:13 | 29 |
| ჟემჩუჟინა | 18 | 8 | 5 | 5 | 20:17 | 29 |
| როტორი | 18 | 7 | 8 | 3 | 35:22 | 29 |
| ალანია | 18 | 7 | 7 | 4 | 26:19 | 28 |
| როსტსელმაში | 18 | 7 | 7 | 4 | 27:23 | 28 |
| შინიკი | 18 | 7 | 4 | 7 | 17:20 | 25 |
| ურალანი | 18 | 6 | 6 | 6 | 20:19 | 24 |
| კრილია | 18 | 6 | 3 | 9 | 15:25 | 21 |
| ცსკა | 18 | 5 | 5 | 8 | 21:20 | 20 |
| ტორპედო | 18 | 4 | 8 | 6 | 19:21 | 20 |
| ბალტიკა | 18 | 4 | 7 | 7 | 16:26 | 19 |
| ჩერნომორეცი | 18 | 3 | 9 | 6 | 21:24 | 18 |
| დინამო | 18 | 3 | 9 | 6 | 14:18 | 18 |
| ტიუმენი | 18 | 1 | 1 | 16 | 7:47 | 4 |

# სუპერლიგა: ჰო, ან არა

უეფა 2000 წლიდან ახალი საკლუბო შეჯიბრების — სუპერლიგის ჩამოყალიბებას, შესაბამისად, გამართვას აპირებს. თავისთავად სახელი მიუთითებს იმაზე, რომ ამ გათამაშებაში საშუალოზე მაღალი დონის გუნდებისთვისაც კი არ იქნება ადგილი. იქ მხოლოდ სუპერგუნდები იასპარეზებენ.

ჯერ საბოლოოდ არაფერი გადაწყვეტილა. სუპერლიგა ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და ევროპული ფეხბურთის ლიდერებიც ძველებურად მხოლოდ სამი ევროტურნირით „კმაყოფილდებიან". არავინ იცის, საერთოდ გაიმართება თუ არა სუპერლიგა, მაგრამ ის, რომ უეფა საამისოდ იბრძვის, უკვე ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოვლენაა.

— ჩვენ გვსურს, ჩამოვაყალიბოთ ლიგა, საიდანაც არავინ გავარდება. ეს იქნება სუპერლიგა ნაღდად უძლიერესი კლუბების მონაწილეობით. ამასთანავე ტურნირი ფინანსური თვალსაზრისით მონაწილეთათვის სარფიანი უნდა იყოს — ბენ ლევმიულერი, უეფას ერთ-ერთი ჩინოსანი, ორგანიზაციის ინტერესების გამომხატველია.

საინტერესოა, არგებს თუ არა სუპერლიგა ევროპულ ფეხბურთს? კლუბები, რომლებიც ამ გათამაშებაში იასპარეზებენ, სხვა ევროთასებზე ვერ ითამაშებენ. მართალია, ფინანსურად ევროგრანდები ძალიან კი იხეირებენ, მაგრამ საიკთხავია, წაადგება კი ეს ფეხბურთს?

ინგლისელებმა, კონკრეტულად კი ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ, სამ ბობოლა კლუბს — „არსენალს", „მანჩესტერ იუნაიტედს" და „ლივერპულს" ხელწერილი ჩამოართვა, რომ ისინი უეფას ახალ გათამაშებაში არ ჩაებმებიან. ინგლისელთა აზრით, სუპერლიგაში მოხვედრილი კლუბი გარკვეულწილად ემიჯნება ფეხბურთს. თანაც, ფეხბურთში მარტო ფული არ არის მთავარი.

— ვფიქრობ, ის სამი გათამაშება, რომლებიც ამჟამად არსებობს, გუნდებისთვის სავსებით საკმარისია. გაუმართლებლად მიგვაჩნია ახალი ევროთასის დაბადება, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ მასში მხოლოდ უძლიერესი კლუბები ითამაშებენ. უეფა ამას თითქოს ფეხბურთის განვითარების მიზნით აკეთებს, მაგრამ თუ საკითხს ჩავუღრმავდებით, მივხვდებით, რომ ყველაფერი სხვაგვარადაა. სუპერლიგის გარეთ დარჩენილ კლუბებს გარკვეულწილად ესპობათ უძლიერეს გუნდებთან შეპაექრების შესაძლებლობა, ეს კი ფეხბურთის წინსვლის პირველი შემაჩერებელი ფაქტორია. ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია წინააღმდეგია სუპერლიგისა! — კეიტ რიჩადსის, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის სიტყვები ნათლად ასახავს ფეხბურთის მშობელთა პოზიციას.

— ვერ გეტყვით, ვის როგორ, მაგრამ ჩვენ სუპერლიგის შექმნა გაუმართლებლად მიგვაჩნია. ფეხბურთში ფული კი არ უნდა წყვეტდეს ყველაფერს, არამედ სპორტული პრინციპები — დინ რობერტსმა, „მანჩესტერ იუნაიტედის" მენეჯერმა, კლუბის პროტესტი სუპერლიგის მიმართ წერილობით დაადასტურა და ასოციაციას აახლა. „მანჩესტერ იუნაიტედის" აზრი ინგლისის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „არსენალმა", ასევე „ლივერპულმაც" გაიზიარა.

უეფა მაინც მტკიცედ იცავს თავის თვალსაზრისს. სუპერლიგაში მონაწილეობის უფლება ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის განზრახვით ინგლისს, იტალიას, გერმანიას, ესპანეთსა და საფრანგეთს უნდა ჰქონოდა, თუმცა პირველთა გამოკლებამ ლიგის შექმნა საეჭვო გახადა.

ინგლისელები კი უარობენ სუპერლიგაში თამაშს, მაგრამ იტალიური „მილანი" და „იუვენტუსი", თუნდაც ესპანური „რეალი" და „ბარსელონა" ყაბულს არიან. ფრანგების და გერმანელების აზრი ჯერჯერობით უცნობია.

საბოლოოდ ყველაფერი 1999 წლის მიწურულს, შემოდგომაზე გაირკვევა.

**ლაშა გოდუაძე**



დიახ, ამ ფოტოზე მიხაელ შუმახერია აღბეჭდილი. სწორედ ის მიხაელ შუმახერი, ფორმულა ერთის დიდოსტატი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო პილოტი რომ გახლავთ.

საიდან სადაო?

ამ შუა ზაფხულში, როდესაც ფეხბურთს ჯერჯერობით უპირატესად უკლასო გუნდები თამაშობენ, მინდორზე გასვლა შუმახერმაც გაბედა. აქაოდა იმთზე ცუდად ხომ ვერ ვითამაშებო.

ფოტო მანჰაიმში სპორტსმენთა და გერმანული შოუ ბიზნესის ვარსკვლავთა საქველმოქმედო თამაშზეა გადაღებული.



ჟიუსტ ფონტენი

მსოფლიო ფეხბურთს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს და, ბუნებრივია, არაერთ რეკორდსაც ითვლის. სპორტის მიღლეთ ხიბლი და მიმზიდველობაც ხომ სწორედ ეს არის — რეკორდი უნდა გაუმჯობესდეს, მერე კიდევ უფრო მიუღწეველი გახდეს და ასე შემდეგ. მაგრამ არსებობს რეკორდები, რომელთა განმეორება, მით უმეტეს, გაუმჯობესება ჟამთა სვლასთან ერთად უფრო და უფრო ძნელდება. ერთი ასეთი მიღწევა ფრანგ ფეხბურთელ ლუსიენ ლორანს ეკუთვნის: მან მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველი გოლი გაიტანა. ეს არ არის რაღაც განსაკუთრებული მოვლენა და არც ლორანის ნიჭისა და გარჯის შედეგია, უბრალოდ, პირველად ვიღაცას უნდა გაეტანა და ბედის განგებით ეს აწ უკვე 91 წლის ლორანმა მოახერხა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მიღწევას ვერც ვერავინ გაიმეორებს და ვერც ვერავინ გააუმჯობესებს. სხვა საქმეა ჟიუსტ ფონტენის მართლაც ბრწყინვალე მაჩვენებელი — ერთ მსოფლიოს ჩემპიონატში 13 გოლი. მართალია, თეორიულად ვინმემ იქნებ ოდესმე ამდენჯერვე, ან მეტჯერ მოახერხეს მეტოქის კარის დალაშქვრა, მაგრამ დღევანდელობა და ფეხბურთის განვითარების მსვლელობა ამტკიცებს — ეს მეტად საეჭვო ამბავია.

# ჟიუსტ ფონტენი: მეტის გატანა შემეძლო

საფრანგეთი 98-ის წინ რონალდო იქადნებოდა, 13 გოლი რას მიქვია, მეტს შევაგდებო, მაგრამ იმთავითვე ნათელი იყო, რომ იგი ამას სენსაციის მოყვარულთა ყურადღების მისაქცევად აკეთებდა. ხალხი დარწმუნებული იყო, რომ თუნდაც ასეთი დიდი გუნდის წევრი, გენიალური და რაც მთავარია, გამოკვეთილი ფორვარდიც კი, როგორიც „ფენომენად" წოდებული რონალდოა, ფონტენის მიღწევას ვერ გაიმეორებდა. ამასვე ადასტურებს ახალგაზრდა ვარსკვლავის ყოფილი მწვრთნელის მარიო ზაგალოს სიტყვები: „დღევანდელი ფეხბურთი მკვეთრად განსხვავდება 40 წლის წინანდელისგან, როდესაც ფონტენმა 13 გოლი გაიტანა. ახლა უფრო მეტი დროა სათამაშოდ, მეტი სივრცეებია, ტემპმა გაცილებით იმატა, მაგრამ ამავდროულად ფეხბურთი უფრო გუნდური თამაში გახდა. თავდამსხმელს მარტო გოლის გატანა აღარ ევალება, თუ შესაძლებლობა მიეცა და სიტუაციამ მოითხოვა, მან თავის თანაგუნდელს, თუნდაც მცველს პასი უნდა მისცეს და გაატანინოს. მე არ მჭირდება მხოლოდ გოლზე დაგეშილი ფორვარდი, ეს გუნდისთვისაც და შედეგისთვისაც ძალიან ცუდია". მაშინ, 1958 წელს კი სულ სხვა დრო იყო...

ჟიუსტ ფონტენი 1933 წლის 18 აგვისტოს საფრანგეთის მაშინდელი კოლონიის, მაროკოს ქალაქ მარაკეშში დაიბადა. ფეხბურთის თამაშიც აქ ისწავლა და შეიყვარა. მისი პირველი გუნდი ადგილობრივი „AC მარაკეში" იყო, რის შემდეგაც მან „USM კასაბლანკაში" ამოყო თავი. საფრანგეთში ფონტენი პირველად „ნიცას" სელექციონერებმა შენიშნეს, მაგრამ მათ სახელგანთქმულმა „რეიმსმა" დაასწრო და ახალგაზრდა ფეხბურთელი დიდ საფეხბურთო სამყაროში აღმოჩნდა. თანაც ჟიუსტმა „რეიმსში" ერთ-ერთი ბრწყინვალე ფრანგი თავდამსხმელი რაიმონ კოპა შეცვალა, რომელიც ჩემპიონთა თასის პირველი გათამაშების ფინალში მადრიდის „რეალთან" დამარცხების შემდეგ ამ უკანასკნელის შემადგენლობაში გადავიდა.

1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ფონტენის ასპარეზობა ყველასთვის სიურპრიზი იყო, რადგან მას საფრანგეთის ნაკრების სახელით მხოლოდ ორი შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული, თანაც ტურნირის დაწყებამდე, თებერვალში, მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო. შვედეთის სტადიონებზე მის გამოჩენაზე დიდი როლი იმანაც ითამაშა, რომ ნაკრების მეორე თავდამსხმელი რენე ბლიარი ჩემპიონატამდე დაშავდა. თუმცა, ეტყობა, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო და ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ულამაზესი და დღემდე მიუღწეველი ფურცელი ჩაიწერა: ფონტენმა ყველა თამაშში გოლი გაიტანა — პარაგვაისთან ჰეთ-თრიქი, ორი იუგოსლავიის ნაკრებთან, ერთი შოტლანდიასთან, ორი ჩრდილოეთ ირლანდიის კარში მეოთხედფინალში, ერთი ბრაზილიელებთან ნახევარფინალში და ოთხი მესამე ადგილისთვის მატჩში გერმანელებთან — სულ 13. შემდგომში ფონტენმა განაცხადა: „მეტის გატანა შემეძლო, მაგრამ რამდენიმე პენალტი სხვას დავარტყმევინე და გოლის შეგდებასაც ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი. ალბათ იმიტომ, რომ მაშინ არც „ოქროს ბუცი" არსებობდა და არც საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი ფულადი ჯილდო".

შემდგომ, 1958-59 წლების სეზონში, ფონტენმა საკლუბო ფეხბურთშიც საუცხოო შედეგი აჩვენა და ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, „რეიმსის" შემადგენლობაში 10-ჯერ იხეირა. მისი კლუბი კვლავ გავიდა ფინალში, მაგრამ ლეგენდარული მადრიდის „რეალი" ფრანგული კლუბისთვის კვლავ გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა. 1961 წელს ფონტენმა ორ ადგილას მოიტეხა ფეხი და ფეხბურთს საბოლოოდ გამოემშვიდობა. ამ დროს იგი უკვე ორჯერ იყო საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე და ნაკრებში ჩატარებულ 20 მატჩში 27 ბურთი შეაგდო. ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ იგი ერთ-ერთი ასოციაციის პრეზიდენტი გახდა, რომელსაც „ფრანგ ფეხბურთელთა გაერთიანება" ერქვა. ამას ძალიან ცოტა ხნით ნაკრების თავკაცობა მოჰყვა.

საფრანგეთში ახლახან დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ჟურნალისტები ლეგენდარულ ფრანგს ეწვივნენ და ჰკითხეს, თუ ვინ გახდებოდა ბომბარდირი. ამაზე ფონტენმა უპასუხა: „ჩემი აზრით, ორი კანდიდატურა არსებობს — რონალდო და ალან შირერი. უპირატესობას კი მეორეს მივანიჭებდი, რადგან ბრაზილიელს „ინტერში" ძალიან მძიმე სეზონი ჰქონდა, უამრავი სტრესი და ემოციური დატვირთვა გადაიტანა, თითქმის მთელი მსოფლიო ჩემოიარა და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი ჯერ კიდევ 21 წლისაა. შირერი კი, გარდა უდიდესი გამოცდილებისა და ტალანტისა, თითქმის მთელი სეზონი ისვენებდა და 1958 წელს ჩემი დაშავებისა არ იყოს, მასაც ტრავმა აწუხებდა. ვფიქრობ, ეს არ არის შემთხვევითი დამთხვევა. ამას საფრანგეთი 98 დაამტკიცებს. საერთოდ, ის ნაკრები, რომელიც მხოლოდ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობს და ყველაფერს მასზე აგებს, მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდება. დღეს ფეხბურთი, როგორც არასდროს, გუნდურ თამაშს ეფუძნება. ჩემს დროს ასე არ იყო".

როგორც ხედავთ, ფონტენმა ბომბარდირი ვერ გამოიცნო, მაგრამ მისი პროგნოზი გარკვეულწილად გამართლდა — უძლიერესი გახდა გუნდი, რომელსაც შეიძლება ითქვას, ფორვარდი არ ჰყოლია და მთლიანად გუნდურ თამაშს ქადაგებდა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ფეხბურთი სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება, რაც ჟიუსტ ფონტენის ფანტასტიკურ რეკორდს კიდევ უფრო მიუღწეველს ხდის.

**„უორლდ სოკერიდან" თარგმნა დავით ძოვზირიძემ**



1958 წელი. მეგობრები ფონტენს გერმანელების დამარცხებას ულოცავენ. იმ შეხვედრაში მან ოთხი გოლი გაიტანა

# ნუ გააბრაზებთ ნინოს!

**ბარსელონაში დამთავრებულ ტყვიის მსროლელთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესახებ შეძლებისდაგვარად გაუწყებდით, დღეს კი გთავაზობთ ინტერვიუს ნინო სალუქვაძესთან, რომელიც დაწვრილებით გვესაუბრება ჩემპიონატის პერიპეტიებზე და არა მარტო ამაზე.**



ნინო სალუქვაძე

**— ნინო, ბარსელონაში მხოლოდ სპორტული პისტოლეტით ისროლეთ, თუ პნევმატურითაც?**

— ორივეთი. პნევმატური პისტოლეტით სროლაში შეჯიბრება პირველ დღეებში გაიმართა. წინასწარ სროლებში 382 ქულა მოვაგროვე და მიუხედავად იმისა, რომ მეორე-მესამე ადგილებზე გასულებსაც საკმაოდ დაბალი შედეგები — 383-384 ქულა ჰქონდათ, ფინალში მაინც ვერ მოვხვდი. ამის შემდეგ იყო სპორტული პისტოლეტებით ასპარეზობა. აქ 583 ქულა დავაგროვე და ფინალში მეხუთე შედეგით შევედი. ასე თუ ისე, საგრძნობი უპირატესობა ჩემთან შედარებით მხოლოდ პირველ ადგილზე მყოფ 590-ქულიან ჩინელს ჰქონდა, თორემ დანარჩენებთან ახლოს ვიყავი. ფინალურ სერიაში ბოლო გასროლამდე მეორე ვიყავი, მაგრამ უკანასკნელი ცდა ცოტა მარცხიანი გამოდგა, საბოლოოდ მე და დანიელს ერთნაირი შედეგი აღმოგვაჩნდა და ჩვენ ვიყოფდით მეოთხე-მეხუთე ადგილებს. მეოთხე ადგილი ოლიმპიადის ლიცენზიას იძლეოდა, მეხუთე კი — არა, ამიტომ მოგვცეს დამატებითი სროლის უფლება, რომელშიც მე 10,5, ჩემმა მეტოქემ კი 10,1 მოვახერხეთ. ამრიგად, მე მოვიგე და გავედი მეოთხე ადგილზე, რითაც მოვიპოვე როგორც ოლიმპიადის, ასევე მსოფლიოს თასის ფინალში ასპარეზობის უფლება, რომელიც ოქტომბრის დასაწყისში გაიმართება ციურიხში.

**— კანონზომიერად თვლით ბარსელონაში ნაჩვენებ შედეგს თუ შეგეძლოთ უკეთ გამოსულიყავით? თუ შეგეძლოთ, მაშინ რამ შეგიშალათ ხელი?**

— ხელი რამ შემიშალა, ასე იოლად არ ითქმის... უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ ძალები არ მეყო ბოლომდე საბრძოლველად. იმ სავარჯიშო პირობებში, როგორშიც მე მიხდება წვრთნა, ესეც მიღწევაა. ვვარჯიშობ არმიის სპორტკომპლექსის სარდაფში მოწყობილ ტირში, სადაც არის კანალიზაციის წყალი, სინესტე და სიბნელე. ძალიან მიშლიდა ხელს ელექტროენერგიის უქონლობა, რადგან ამის გამო კვირაში რამდენიმე დღეც კი მიცდებოდა. ამიტომაც, ვვარჯიშობდი იმ დღეებში, როცა საამისო საშუალება იყო. კვირასაც კი მომყავდა ტირის უფროსი, რათა მევარჯიშა, ასეთი ვარჯიში კი არაეფექტურია და შედეგსაც არ იძლევა. ჩვენ ღია ტირები არა გვაქვს. უცხოეთში, იმის მიუხედავად, რომ ზაფხულში ყველა შეჯიბრი ღია ტირში ეწყობა, ელექტრონული ფარებია. ფარებს არ დავეძებ, მაგრამ ღია ტირი ხომ მაინც უნდა იყოს. აი, ესაა ის პრობლემები, რომლებმაც ასეთი შედეგები განაპირობა. 590 ქულა ვარჯიშზე ჩემთვის არაფერი იყო, ბარსელონაში კი 583 დავაგროვე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ არა ხარ ადაპტირებული იმ მომენტისთვის. ასეთი პირობები, თუ ოლიმპიადაზე მედლის მოპოვება ან რაიმე წარმატების მიღწევა გვინდა, არ გამოგვადგება.

**— ადრე სროლის ქართული სკოლა მოწინავე იყო მთელს მსოფლიოში. დღეს რომ შევადაროთ იგი უცხოურს, როგორ სურათს მივიღებთ?**

— სკოლა, სადაც უშუალოდ სროლას ასწავლიან, უცხოეთში არსად არის და ეს გვშველის კიდეც, რადგან ისინი ახლოს მომსვლელები არ არიან. ასეთი სკოლა კი არსებობდა ყოფილ საბჭოთა კავშირში და იგი საერთო სისტემას ეფუძნებოდა. ასეთი რამ საზღვარგარეთ არც ადრე იყო, არც ახლაა. ყველანაირი პირობები აქვთ საფრანგეთს, შვეიცარიას... შვეიცარიაში, მაგალითად, სროლა ეროვნული სახეობაა და ამ ქვეყნის გუნდს ჩვენმა ნაკრებმა 20 ქულით მოუგო. არადა, ჩვენი გუნდი სამი სახელდახელოდ შეკრებილი გოგოსგან შედგებოდა. ხომ არის ეს პარადოქსი. თუნდაც გერმანია ავიღოთ, რომელიც, ყველამ ვიცით, რა ქვეყანაა, მაგრამ ისეთი სისტემა აქვთ, რომ არ ვიცი, რას ფიქრობენ, იქ უფრო ხელს უშლიან სპორტსმენებს.

სკოლა-წვრთნის, ტექნიკის და სხვა ბევრი რამის მეთოდიკა და ტრადიციები ჩვენთან უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე სხვაგან.

**— თქვენი სამომავლო გეგმები, მით უფრო, რომ ოლიმპიადის ლიცენზია ჯიბეში გიდევთ.**

— გეგმებზე მთავარი ისაა, გვქონდეს რაც შეიძლება მეტი შეჯიბრი, მეტი სტარტი. ამჟამად მაქვს ახალი იარაღი, რომლის გამოცდაც ეგრევე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მიწევს. არადა, ასეთი გამოცდა უფრო დაბალი რანგის შეჯიბრებებზე უნდა ხდებოდეს, რომ მერე იარაღთან დაკავშირებით სიურპრიზები აღარ შეგემთხვეს. როცა იარაღს აიქვამ და შეეჩვევი, მერე შეიძლება მაღალ შედეგებზე ლაპარაკი. ოლიმპიადამდე ორი წელია დარჩენილი. ეს, რა თქმა უნდა, დიდი დროა, მაგრამ თუ ახლავე არ დავიწყეთ მზადება და ფიქრი საამისოდ, ზედ ოლიმპიადის წინ ვერავინ მოემზადება ისე, რომ სიდნეიში რამის იმედი ჰქონდეს. ოლიმპიადაზე წარმატების მიღწევით ჩემი ხალხის გახარება მინდა, თორემ ჩემთვის ყველაფერი მიღწეული მაქვს. შეიძლება ეს ფსიქოლოგიურად ხელსაც მიშლის, რადგან ზედმეტი პასუხისმგებლობის გრძნობასაც მატვირთებს, მაგრამ, ვიმეორებ, ხალხის გახარება მინდა, თუ ხელი არ შემიშალეს... (იცინის). ცოტა ხელის შეწყობა მაინც არის საჭირო.

**— საწვრთნელ პირობებზე მინდა გკითხოთ. გაქვთ კი იმედი, რომ შეგექმნებათ ხეირიანი სავარჯიშო პირობები, ისევ მამა გავარჯიშებთ, თუ...**

— ისევ მამა მავარჯიშებს, ოღონდ ისევ იმ სარდაფში, წეღან რომ ვახსენე და რომელშიც სინესტისა და სიბნელის მეტი არაფერია. იქ, ტირში ვიღაც მოვა, ისვრის, გამონაბოლქვი დაგროვდება, სარდაფს კი არც ვენტილაცია აქვს და არც არაფერი. მე ვდგევარ 3-4 საათი ამ სიცხეში და ველოდები. ძალიან მეხმარება იქ მომუშავე პერსონალი. ოღონდ კი რამე მოვინდომო, ოღონდ ვინმემ ხელი არ შემიშალოს... მოკლედ ძალიან მეხმარებიან, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ. ღია ტირები ყველა დახურულია. ასეთ პირობებში კი საქართველოში ოლიმპიადისთვის მზადება ალბათ შეუძლებელია.

**— ცხოვრების სახსარზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ვიცი, რომ შვიდი თვეა, სტიპენდია არ აგიღიათ.**

— მარტო ეკონომიკური საკითხი არ წყვეტს საქმეს. აი, ვიყავით მსოფლიოს ჩემპიონატზე, ამხელა შეჯიბრია. ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. გრანდიოზული გახსნის ცერემონიალი მოეწყო და 65 ქვეყნიდან ჩვენი გუნდი იყო ერთადერთი, რომელსაც არანაირი ეროვნული ატრიბუტიკა არ ჰქონდა. რა ვთქვა, რა ჰქვია ამას? არადა, ამაზე ადრევე ვლაპარაკობდით, ვბჭობდით, მაგრამ ამ საქმის მოსაგვარებლად მაინც არავის უზრუნია. ეს ხომ ჩვენი ქვეყნის სახელი და პრესტიჟია და ნუთუ მისი მოგვარება ასე დიდი პრობლემაა? რა თქმა უნდა, მატერიალური დაინტერესებაც უნდა იყოს, ენთუზიაზმის ამარა მუშაობას დღეს აღარავინ დათანხმდება, რადგან ცხოვრება სხვანაირი გახდა, ძველებურად აღარაფერი გამოვა. ფულის გარდა გვინდა ექიმიც, ფსიქოლოგიც, მასაჟისტიც; ტრენაჟორების დარბაზი ან საცურაო აუზიც გვჭირდება, თორემ მარტო იარაღით ვარჯიშით საქმეს ხეირი არ დაადგება. როგორიც პირობებია, ისეთი შედეგებია, არადა, ხარისხიანი მზადებაა საჭირო, ასე, კუსტარულად დიდი შედეგები არ იქნება. სპორტსმენს თუ გაქვს მონდომებაც, ძალაც, გინდა რაღაცას მიაღწიო, ივარჯიშო, არ დაიშურო ძალები, ოჯახიც ხელს გიწყობს, ფედერაცია იქნება, დეპარტამენტი თუ სხვა ვინმე, ვისაც ეს ევალება, მათ ხომ უნდა გაიგონ?

**— ნინო, მსოფლიოს თასის ფინალში რას გეგმავთ?**

— ციურიხში მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე, რადგან წელს მსოფლიოს პირველობა იყო, 12 სპორტსმენი იასპარეზებს, ისე კი რვა უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება დაგეგმვას, ასეთი რამ ცოტა აბსტრაქტულად წარმომიდგენია, რადგან წინასწარ და თანაც ზუსტად ვერავინ იტყვის რაიმეს. 100 პროცენტითაც რომ იყო დარწმუნებული, წინასწარ მაინც არ უნდა თქვა. ამაზე საუბარი შემდეგისთვის იყოს.

**— დასასრულ მინდა გკითხოთ ოლიმპიურ ჩემპიონთათვის საბერძნეთში დაგეგმილ იმ ღონისძიებაზე, რომელშიც საქართველოდან თქვენთან ერთად მიწვეულები არიან სანეევი და ხახალეიშვილიც. რა ღონისძიებაა ეს?**

— 20 სექტემბერს საბერძნეთში გაიმართება ოლიმპიურ ჩემპიონთა სემინარი, რომელშიც საქართველოდან მიგვიწვიეს მე, ვიქტორ სანეევი და დავით ხახალეიშვილი. რა სახის, რა მიმართულების იქნება ეს ღონისძიება, ჯერ მეც არ ვიცი, რადგან ჩვენ უბრალოდ მიწვევა მოგვივიდა და მასში ამაზე არაფერი ეწერა.

ნინოს დიდ მადლობას ვუხდი საინტერესო საუბრისთვის, სამომავლო წარმატებებს ვუსურვებ და ვემშვიდობები. შეუძლებელია, არ დაეთანხმო მას იმაში, რომ თუ რამე სურს, მხოლოდ ხალხისთვის, თორემ თავისთვის ყველაფერს მიაღწია. მით უფრო, რომ მას ეკონომიკურ მხარეზე ყურადღება არ გაუმახვილებია. განა ბნელსა და ნესტიან, დენთის სუნითა და კანალიზაციის წყლით აშმორებულ სარდაფში ვარჯიშს არ ურჩევნია, თავის ქმარშვილთან ერთად სადმე კეთილმოწყობილ კურორტზე დაისვენოს? მაგრამ ნინო ყველაფერს ითმენს. ასეთ პირობებში იმ ხალხს, ვისაც მისთვის ნორმალური პირობების შექმნა ევალება, ერთი რჩევა მინდა მივცე — ნუ გააბრაზებთ ნინო სალუქვაძეს. მას ხომ მსოფლიოში უზუსტესი მიზანი აქვს.

ირაკლი თავაძე

## ლოდინადაც არ ღირდა

ბარსელონაში დასრულებულ მესტენდურთა მსოფლიოს ჩემპიონატში ორი ქართველიც მონაწილეობდა — თამაზ იმნაიშვილი და დავით ქვათაძე. როგორც თბილისში დაბრუნებულმა ბატონმა თამაზმა გვაცნობა, მათ საკმაოდ სუსტად უასპარეზიათ, თუმცა ეს შედეგი ჩვენს მესტენდურთა მზადების შესატყვისი ნამდვილად იყო. პირად პირველობაში იმნაიშვილს შესაძლო 125-დან 115 ქულა დაუგროვებია, ქვათაძეს კი ქულით ნაკლები. ცხადია, ისინი ფინალში ვერ მოხვდნენ. უფრო მეტიც — ეს იმდენად უხეირო შედეგი ყოფილა, რომ ჩვენები საბოლოო შედეგების გამოცხადებას არც კი დალოდებიან.

რაც შეეხება გუნდურ პირველობას, ბარსელონაში იგი კი გაიმართა, მაგრამ ჩვენებს ამ შეჯიბრებას ვინ გააკარებდა. მიზეზი — გუნდს სამი სპორტსმენი უნდა ჰყოლოდა, რათა ასპარეზობაზე დაეშვათ, ჩვენგან კი მხოლოდ ეს ორი მონაწილე იყო. მესამე ჩვენებური მსროლელი უსახსრობის გამო კატალონიაში ვერ გაემგზავრა. ამით ჩვენმა მესტენდურებმა სეზონი, ფაქტობრივად, ამოწურეს.

ირაკლი თავაძე

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. II ბუნდესლიგა. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ივლისი | | | |
| ზანქტ პაული — ბერლინი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ფორტუნა — დიუსელდორფი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| კოტბუსი — კიკერსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 2 აგვისტო | | | |
| მაინცი — ფიურტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გიუტერსლო — კიოლნი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ულმი — ვატენშაიდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| როტ ვაისი — ურდინგენი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| უნტერჰახინგი — არმინია | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### შვეიცარია. მე-4 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ივლისი | | | |
| ლუცერნი — იანგ ბოიზი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| სერვეტი — ლოზანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| არაუ — სენტ გალენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ციურიხი — ქსამაქსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 2 აგვისტო | | | |
| სიონი — გრასჰოპერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ავსტრია. მე-2 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 აგვისტო | | | |
| აუსტრია — შტაირი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ლუსტენაუ — ტიროლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| რიდი — შტურმი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ზალცბურგი — ლინცერი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 2 აგვისტო | | | |
| გრაცერი — რაპიდი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### რუსეთი. მე-19 ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 აგვისტო | | | |
| ზენიტი — როტორი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ჩერნომორეცი — შინიკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ურალანი — ბალტიკა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ალანია — ტიუმენი | 1,05 | 8,0 | 10,0 |
| ჟემჩუჟინა — სპარტაკი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| დინამო — ცსკა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ლოკომოტივი — ტორპედო | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| კრ. სოვეტოვი — როსტსელმაში | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### შოტლანდია. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 აგვისტო | | | |
| სელტიკი — დანფერმლაინი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| დანდი — აბერდინი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| კილმარნოკი — დანდი იუნაიტედი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მოზერველი — სენტ ჯონსტონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 2 აგვისტო | | | |
| ჰარტსი — რეინჯერსი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### პოლონეთი. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ივლისი | | | |
| სტომილი — ლეგია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 1 აგვისტო | | | |
| ვიძევი — გურნიკი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| პოგონი— ლკს | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ოდრა — რუხი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| პოლონია — ვისლა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ზაგლებიე — ბელხატოვი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ლეხი — კატოვიცე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რაძიონკოვი — ამიცა | 1,8 | 3,1 | 3,8 |

### გერმანიის ლიგის თასის ნახევარფინალი

(ნეიტრალურ მოედანზე)

| | | | |
|---|---|---|---|
| 31 ივლისი | | | |
| ლევერკუზენი — დუისბურგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 1 აგვისტო | | | |
| შტუტგარტი — შალკე | 2,5 | 2,9 | 2,5 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

*(№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონში, „კროკოს“ ბიურო გაუქმებულია).*

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# ლიტვამ ამერიკა დაახრჩო

დასაწყისი პირველ გვერდზე

**კორეა 73:76 ბრაზილია**

**კორეა:** მინ სენგ ლი (19), სოკ ჯანგ ჰონი (18), მინ კიუნგ იანგი (16).
**ბრაზილია:** კაზოლეტო (17), კლაფაცი (14), ვიანა (12).

პირველ მატჩში წაგების შემდეგ ბრაზილიის ნაკრებს შემდეგ წრეში გასასვლელად ეს შეხვედრა აუცილებლად უნდა მოეგო, რადგან ჯგუფური ტურნირის ბოლო თამაში სამხრეთამერიკელებს საკმაოდ ძლიერ ლიტვის ეროვნულ გუნდთან აქვთ და არა გვგონია, იქ გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდეთ.

ეს თავად ბრაზილიელებმაც კარგად იცოდნენ და პირველივე წუთებიდან მეტოქეს შეუტიეს აზიელებს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს უკანასკნელნი რაიმე დათმობას სულაც არ აპირებდნენ. ის კი, მეტოქის მატჩის განმავლობაში საგრძნობი უპირატესობით დაწინაურების საშუალება არ მისცეს და ოდნავ რომ გამართლებოდათ, ვინძლო შეხვედრა სულაც მოეგოთ.

ბრაზილიელები, რომლებსაც, ეტყობა, იოლი გამარჯვების იმედი ჰქონდათ, აშკარად არ ელოდნენ კორეელთა ასეთ წინააღმდეგობას. თუმცა საბოლოოდ მაინც მოახერხეს და საქმეში შრეები თავიდან აიცილეს. ამას სამხრეთამერიკელებმა უპირატესად თავიანთი ლიდერების — კაზოლეტოსა და კლაფაცის კარგ თამაშს უნდა უმადლოდნენ, რომლებმაც შესაბამისად 17 და 14 ქულა მიითვალეს.

რაც შეეხება ფარიდან ასხლეტილ ბურთებს, აქ მეტოქეებს თითქმის ერთნაირი მაჩვენებელი ჰქონდათ. ბრაზილიელებმა 36-ჯერ იმარჯვეს, ხოლო კორეამ 30-ჯერ მოხსნა მიზნის ალყიდან ბურთი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 2 | 2 | 0 | 181:138 | 4 |
| აშშ | 2 | 1 | 1 | 165:143 | 3 |
| ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 135:156 | 3 |
| კორეა | 2 | 0 | 2 | 129:173 | 2 |

**B ჯგუფი**

**იუგოსლავია 82:74 რუსეთი**

**იუგოსლავია:** რებრაჩა (23), ტომაშიჩი (16), ბოდიროგა (16)
**რუსეთი:** კარასიოვი (20), კისურინი (15), კუდელინი (12)

ჯგუფის ლიდერების შეხვედრა მართლაც საინტერესო სანახავი გამოდგა. მართალია, არც ერთი გუნდის წინაშე შემდეგ წრეში გასვლის პრობლემა არ დგას, მაგრამ ამათ დაპირისპირებას ხომ დიდი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებები მსოფლიოს ლიდერები იყვნენ და ერთმანეთს შორის უპრინციპულეს ბრძოლებში წყვეტდნენ მსოფლიოს უპირველესი გუნდის ვინაობას.

ახლა ძველი შემადგენლობით აღარც იუგოსლავია არსებობს და არც საბჭოთა კავშირი, მაგრამ როგორც გუშინდელმა თამაშმა დაგვარწმუნა, ამ გუნდების შეხვედრებს ძველი ეშხი და დაძაბულობა მიუხედავად არ მოჰკლებია.

მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, რომ გამარჯვებულის ბედი მხოლოდ დამატებით დროში გადაწყდა. როდესაც შეხვედრის ძირითადი დრო ამოიწურა, ტაბლოზე 68:68 კაშკაშებდა და ცხადი შეიქნა, რომ გამარჯვება მეტი ნებისყოფის მქონე მხარეს დარჩებოდა. თავიდან რუსებმა იმარჯვეს და 72:68 დაწინაურდნენ, მაგრამ იუგოსლავებმა რის ვაივაგლახით ხელიდან გაუშვებოდა, ეს სხვაობა ვერ ამოავსეს 72:72, 74:74. აი, აქ კი რუსები გატყდნენ. მათ, როგორც ყოველთვის, ნერვებმა უმტყუნა და სრულიად უწყინარ სიტუაციებში უხეშ შეცდომების დაშვება დაიწყეს.

ზოგადი რებრაჩამ ორქულიანით დაწინაურება გაუზარდა, რასაც ბოდიროგამ ორი უმეტესი შეხვედრის ქულა გაუზომა.

ისე, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ მობრუნებულ გუნდის მოუხედავად რუსებმა არაფერი დაუთმეს მეტოქეს, მეტიც, ისინი მთელი თამაშის მანძილზე ლიდერობდნენ. საწყისი 16:9-ის შემდეგ პირველი ტაიმი 40:33 დასრულდა და შესვენების შემდეგაც 61:55 წინ იყვნენ, მაგრამ... იუგოსლავებმა რებრაჩასა, ტომაშიჩისა და ბოდიროგის მეშვეობით თამაშის წყალობით ვითარების შემობრუნება შეძლეს და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანეს. იქ კი რაც მოხდა, ზემოთ გიამბეთ.

შეხვედრის შემდეგ რუსთა მთავარი მწვრთნელი სერგეი ბელოვი, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვერ იქნებოდა, მაგრამ მას საბოლოო დიდი გულისტკენის ნიშანსაც ვერ შეამჩნევდა კაცი:

— ჩემი მატჩი დამატებით დროში კი არა, ძირითადში წავაგეთ, როდესაც ყველაზე კრიტიკულ მომენტში ბაგეური შეცდომები დავუშვით. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ბიჭების თამაშით დიდად უკმაყოფილო ვარ. ისინი საკმაოდ დამაჯე-

რებლად ირკვეოდნენ და უმაღლესი დონის კალათბურთი აჩვენეს. დარწმუნებული ვარ, შემდეგ ეტაპებზე უკეთესად ვითამაშებთ. თუმცა იქ რა მოხდება, ღმერთმა იცის.

ევგენი კისურინი: ჩვენ ვხვდებოდით მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებს, რომელმაც დამსახურებულად მოგვიგო. მაგრამ ახლა ხელების ჩამოშვება ნამდვილად არ ღირს. რუსეთი ჯერ კიდევ გამოაჩენს თავის ძალას!

ზელკო ობრადოვიჩი, იუგოსლავიის ნაკრების თავკაცი: დამატებით დროში მართლაც საუცხოოდ ვითამაშეთ. ეს წარმატება განსაკუთრებით იმიტომ მახარებს, რომ ჩემი გუნდის ახალგაზრდა წევრებმა მათი საუკეთესო თვისებები გამოავლინეს და დაამტკიცეს, რომ ნაკრებში ასპარეზობის ღირსნი არიან.

**პუერტო რიკო 78:57 იაპონია**

**პუერტო რიკო:** ორტისი (22), მინნი (13), ვეგა (10)
**იაპონია:** ტაკაჰაში (20), ორიში (8)

B ჯგუფის აუტსაიდერთა შეხვედრას მცირედ დაძაბულობა უძღოდა წინ, მაგრამ თავად მატჩმა აჩვენა, რომ მაინცდამაინც სანერვიულო არც ერთი გუნდის გულშემატკივრებს ჰქონდათ. პუერტორიკოელებმა დასაწყისშივე ხელთ იგდეს ინიციატივა და თამაშის ბოლომდე სასურველ რიტმსა და მიმდინარეობას კარნახობდნენ მეტოქეს.

არადა, ჩემპიონატის პირველი ტურის შემდეგ, როდესაც პუერტო რიკომ იუგოსლავიასთან, ხოლო იაპონიამ რუსეთთან წააგეს, ბევრი სპეციალისტი საინტრიგო ორთაბრძოლის ხილვას მოელოდა. თითოეული ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე ხომ სამი საუკეთესო გადის და რადგან პირველ ორ ადგილს მსოფლიოს კალათბურთის ორ გრანდს — რუსეთსა და იუგოსლავიას ვერავინ შეეცილება, მესამე ბილეთის ვინაობა სწორედ ძალთა სუსტებისთა შორის დაპირისპირებაში უნდა გარკვეულიყო.

თუმცა სურვილი ერთია და რეალობა მეორე. ამომავალი მზის ქვეყნის გუნდის თამაში მთლიანად ამერიკული წარმოშობის შავკანიან იაპონელ მაიკლ ტაკაჰაშზეა აგებული. ეს კაცი თავდაუზოგავად იბრძოდა, ქულებსაც აგროვებდა, მაგრამ მარტოს ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჭიდილში არაფერი გამოსდის. ახლაც ასე მოხდა. ნიუ იორკში დაბადებული ტაკაჰაშის წყალობით იაპონელები ერთი ხანობა მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ამერიკელებს, მაგრამ რად გინდა... ლიდერს, რომელმაც იმ საღამოს 20 ქულის გაკეთება მოახერხა, მხარი ვერავინ აუბა და შედეგიც სათანადო მოიმკეს.

პუერტორიკოელთაგან თავი განსაკუთრებით NBA-ს ერთ-ერთი წამყვანი გუნდის „იუტა ჯაზის" ყოფილმა მოთამაშემ, 34 წლის ხოსე ორტისმა გამოიჩინა. მან მატჩის განმავლობაში დაგროვილი 22 ქულიდან 14 პირველ ტაიმში მიითვალა და, ფაქტობრივად, წელში გატეხა იაპონიის დაცვა.

ბოლო ტურში რუსეთის ნაკრები პუერტო რიკას შეხვდება, ხოლო იუგები იაპონელებს „გამოსცდიან". შემდეგი წრეში კი ამ მატჩების მიუხედავად რუსეთის, იუგოსლავიისა და პუერტო რიკოს ნაკრებები გავიდნენ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 162:140 | 4 |
| რუსეთი | 2 | 1 | 1 | 157:140 | 3 |
| პუერტო რიკო | 2 | 1 | 1 | 144:137 | 3 |
| იაპონია | 2 | 0 | 2 | 115:161 | 2 |

**A ჯგუფი**

**კანადა 70:57 სენეგალი**

**კანადა:** კეანი (14), ჰამილტონი (10), ვიკერი (9)
**სენეგალი:** კარვალიო (12), შეიხი (9)

**საბერძნეთი 64:56 იტალია**

**საბერძნეთი:** ალვერტისი (18), პაპანიკოლაუ (14), კორონიოსი (11)
**იტალია:** ფუჩკა (19), მენეგინი (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 2 | 2 | 0 | 142:128 | 4 |
| კანადა | 2 | 1 | 1 | 142:135 | 3 |
| იტალია | 2 | 1 | 1 | 132:130 | 3 |
| სენეგალი | 2 | 0 | 2 | 123:146 | 2 |

**D ჯგუფი**

**არგენტინა 68:51 ნიგერია**

**არგენტინა:** ნიკოლა (14), ვოლკოვსკი (8), სკონოჩინი (8)
**ნიგერია:** აჩა (14), ოგუდირე (11), ამოკაჩი (7)

**ავსტრალია 76:77 ესპანეთი**

**ავსტრალია:** რონალდსონი (17), მაკინონი (14), გეიზი (10)
**ესპანეთი:** ერერროსი (24), როდრიგესი (13), რეიესი (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 134:113 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 157:144 | 4 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 2 | 138:143 | 2 |
| ნიგერია | 2 | 0 | 2 | 119:148 | 2 |

**ირაკლი ხმელიძე**

REUTERS ათენიდან



იუგოსლავია — რუსეთი. რებრაჩას (მარჯვნივ) შეჩერება რუსებმა ვერაფრით მოახერხეს

4-9 აგვისტოს რიგა 1983-84 წლებში დაბადებულ ჭაბუკ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევისწინა ეტაპს უმასპინძლებს. ჩვენებთან ერთად ჯგუფში მასპინძელი ლატვიის, ბულგარეთის, ჩეხეთისა და პოლონეთის გუნდები იასპარეზებენ; ამათგან სამი საუკეთესო კი მომდევნო ეტაპზე გავა. შესარჩევის მეორე, გადამწყვეტი ტურნირი გაისად, აპრილში გაიმართება სლოვენიაში, სადაც გამოვლინდებიან კიდეც ფინალური ტურნირის მონაწილენი. ჩვენებურთა სამზადისზე ამას წინათაც გაუწყეთ, გუშინ კი, გამგზავრებამდე, კიდევ ერთხელ შევხვდით ქართველ კადეტთა უფროს მწვრთნელს ნუგზარ ჭეიშვილს.

# კადეტებს საპრიზო უნდათ



ნუგზარ ჭეიშვილი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

— თბილისიდან 3 აგვისტოს გავემგზავრებით და ჯერ მოსკოვს ჩავფრინდებით, სადაც შესაძლოა ამხანაგური მატჩიც გავმართოთ იქაურ ნაკრებთან. ჩემს მეგობარს ნიკოლაი ბაშკიროვს ველაპარაკე ტელეფონით და შემპირდა, სათქვენო სპარინგ-პარტნიორს გამოგიძებნითო. ბაშკიროვი რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელია, იმ გუნდისა, რომელიც ამასწინათ მოსკოვში, მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების ფინალშიღა დამარცხდა ამერიკის გუნდთან. აი, ამის შემდეგ ჩავალთ რიგაში, სადაც პირველი შეხვედრა ბულგარეთთან გვიწევს. მეორე დღეს ჩეხებთან მატჩია, მერე პოლონეთი და ბოლოს ლატვია.

**— გუნდი უკვე საბოლოოდ დაკომპლექტეთ?**

— მთელი ამ ხნის მანძილზე უმთავრესად, ცხადია, სელექციაზე ვმუშაობდით. სულ ოცდაშვიდი ჭაბუკი გამოიცადა, ამათგან კი ცამეტი დავიტოვეთ და რიგაშიც ყველას წავიყვანთ, მიუხედავად იმისა, რომ განაცხადში თორმეტი კალათბურთელი უნდა შევიყვანოთ. ზოგიერთი მათგანი მეტად ახალგაზრდაა და სამომავლოდაც ამ ნაკრებში მოუწევთ თამაში. მათი რიგაში წაყვანა ამიტომაც მიმაჩნია გამართლებულად. მით უფრო, ამის საშუალებაც გამოჩნდა. გუნდში იქნებიან: გიორგი მარკოიშვილი, ბადრი ნათობაძე, ბაჩანა სულაძე, გიორგი ჩავლეიშვილი, გიორგი მარხვაშვილი (ყველა „მართვე-არწივი"), დავით ურეხელიძე, ნიკა ცქიტიშვილი, ირაკლი კეიდია, რეზო თოდუა (კოლხა), თემურ მანველიშვილი, შიო ხეცურიანი (დინამო), ზაზა ფაჩულია (ულქერი, თურქეთი), კოტე ტულუში (ვითა).

**— ხეირიანად მომზადების საშუალება თუ მოგეცათ?**

— ამ გუნდს შარშან, ოქტომბრიდან ჩავუდექით სათავეში მე და მეორე მწვრთნელი ზურაბ სამხარაძე. მზადების რამდენიმე ეტაპი უკვე გავიარეთ, მონაწილეობა მივიღეთ ერევანში, სომხეთის ფედერაციის თასზე გამართულ ტურნირში, სადაც მეორე ადგილზე გავედით, წინ მხოლოდ მასპინძელთა ეროვნული ნაკრები გავუშვით. მოვაწყეთ შეკრება თურქეთშიც, იქ ადგილობრივ „ეფეს-პილსენთან" და „ფენერბახჩესთან" ოთხი საკონტროლო მატჩი გავმართეთ. უფროსებთან, ბუნებრივია, წავაგეთ, სათადარიგოებთან კი ვიმარჯვეთ. მთლიანობაში კმაყოფილები დავრჩით: ბიჭებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს, რაც, ცხადია, უკვალოდ არ ჩაივლის. გვსურდა, აჭარაშიც შევკრებილიყავით საბოლოოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხეთ ბათუმის საკალათბურთო დარბაზში რემონტის გამო. ამიტომაც მთელი ზაფხული თბილისში, ვერის პარკში ვვარჯიშობთ. ხშირად ვხვდებოდით ჩვენს კლუბებს „ვითას" და სტუ-ს. ვთამაშეთ ახალგაზრდულ და კლუბების ნაკრებებსაც. უმეტესობა მოვიგეთ, ზოგში კი დავმარცხდით. მთლიანობაში ეს შეხვედრები ნაყოფიერად უნდა ჩაითვალოს, უფროსებთან ასპარეზობამ ხომ ბევრი ნაკლი დაგვანახა. ისე, ერთ ტურნირზეც რომ წავსულიყავით, ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა.

**— ხომ არ დაგვიკონკრეტებდით, ნაკლში რას გულისხმობთ?**

— ქართული კალათბურთის უკურნებელი სენი ყოველთვის დაცვაში სუსტი თამაში იყო. ჩვენი ბიჭებიც მეტნაკლებად ამაში მოიკოჭლებენ. ეს ალბათ უფრო სიზარმაცის ბრალია, რაც ყმაწვილური ასაკით აიხსნება. მათ ჯერ კიდევ არა აქვთ შეგნებული, რამხელა პასუხისმგებლობა აკისრიათ, როცა ქვეყნის ნაკრების ღირსებას იცავენ. შეტევაში გაცილებით კარგად გამოვიყურებით, ბიჭებიც საკმაოდ ლამაზ და გამართულ კალათბურთს თამაშობენ. მოკლედ, საგანგაშო არაფერია და ვფიქრობ, დასახული მიზნის მიღწევა, ანუ სამეულში მოხვედრა არ უნდა გაგვიჭირდეს.

**— თანაჯგუფელ გუნდებზე თუ იცით რამე?**

— სამწუხაროდ, არაფერი. ცდა არ დაგვიკლია, მაგრამ ვერაფრით მოვიპოვეთ მათზე რაიმე ინფორმაცია. ერთი ეგ არის, გერმანიისა და თურქეთის მატჩები ვნახეთ მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე, ისინი მოსკოვში სწორედ ჭაბუკთა ნაკრებებით იყვნენ წარდგენილნი და ამის გათვალისწინებით ნაწილობრივ დასკვნებიც გამოვიტანეთ. ახლა მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია: ჩვენი ბიჭები, მეტი თუ არა, მათზე ნაკლებები ნამდვილად არ არიან.

**— ბოლოს იმათზეც ვთქვათ, ვინც ჩვენს გუნდს მხარში ამოუდგა, რათა ასე თუ ისე სრულფასოვნად მომზადებულიყო.**

— მთელი ხარჯები განათლების სამინისტრომ და სამმართველომ იკისრეს. დანახარჯმა მთლიანად 20 ათასი ლარი შეადგინა, რაც ჩვენი ყოფის პირობებში, დამეთანხმებით, თანადგომაზე მეტიც კია. დიდად შეგვეწია განათლების მთავარი სამმართველოს მოსწავლეთა საქალაქო ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანების გენერალური დირექტორი ვაჟა ჭკუასელიც. სწორედ მისმა მონდომებამ მოგვცა საშუალება, მხოლოდ გუნდზე გვეფიქრა. აღარ მოგვიხდა ვინმეს ხვეწნა-მუდარა, ყველაფერი კაცურად გაგვიკეთეს. შეუძლებელია არ დააფასო ამ ხალხის ამაგი და, მერწმუნეთ, მონდომებას არ დავაკლებთ, რათა ღირსეულად ვიასპარეზოთ რიგაში.

**გიორგი ბიძაშვილი**

# ვოვას თურქებმა დაუძახეს



ვლადიმერ ბოისა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და რუსთავის „აზოტის" ლიდერით ვლადიმერ ბოისათი ბოლოხანს ევროპის არაერთი კლუბი დაინტერესდა, მათ შორის სლოვენთა „ოლიმპია" და ებრაელთა „მაკაბიც".

ამჯერად კი ბოისამ თურქთა ყურადღებაც მიიპყრო. მოსკოვში, მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე მათ ვოვას თამაში მოსწონებიათ და სულ რაღაც სამი დღის წინ ევროპული კალათბურთის ერთ-ერთი ლიდერის „ეფეს პილსენის" თავკაცებმა იგი სტამბოლში იხმეს.

ბოისა ერთი კვირის მანძილზე ივარჯიშებს თურქებთან, მას იქ კიდევ ერთხელ დააკვირდებიან და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ამის მერე მიიღებენ. ვიდრე თურქები იფიქრებენ, დაიტოვონ თუ არა ბოისა, მანამდე რუსთაველი კალათბურთელი მშობლიურ „აზოტს" შეუერთდება, რომელიც სულ მალე დონეცკის „შახტიორს" კორაჩის თასის გათამაშების პირველ მატჩში უმასპინძლებს.

**ზურაბ გონაშვილი**

# კიცბუელმა გენერალი დაკარგა

ავსტრია. კიცბუელი. „გენერალი ოუფენ“. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 575 ათასი $



ბერნდ კარბახერი

კიცბუელის ტურნირზე, რომელიც ჩოგბურთელებისა და მასმედიის მიერ ყველაზე კარგად ორგანიზებულ დაბალბიუჯეტიან პირველობად ითვლება, პირველად განთესილი მსოფლიოს მეორე ჩოგანი მარსელო რიოსი უნდა ყოფილიყო. კიკინიან ჩილელს ავსტრიაში ასპარეზობა, რაც კლასიფიკაციაში გაპირველების მორიგ შანსს მისცემდა, დიახაც უნდოდა, მაგრამ ტურნირის ექიმმა ჯერ მარჯვენა ფეხის ერთ-ერთი კუნთის დაჭიმვა დაუდგინა, მერე „მერსედესის თასზე“ შეყრილი ალერგიის ნიშნებიც აღმოუჩინა და დასასვენებლად მაიამიში გაისტუმრა. რიოსი დაახლოებით ორი კვირა ვერ ითამაშებს, ასპარეზობის განახლებას კი 10 აგვისტოს, ცინცინატის სუპერ ცხრის სერიის პირველობაზე აპირებს.

რიოსის არყოფნაში ევგენი კაფელნიკოვს ფორმალურად კი შერჩა განთესვის მეორე ნომერი, მაგრამ სინამდვილეში იგი ტურნირზე საუკეთესო კლასიფიკაციის მქონე ჩოგბურთელია. სოჭელი ქენია 1996-ის როლან გაროსის ჩემპიონი კი გახლავთ, მაგრამ ტომას მუსტერის არ იყოს, ამ ბოლო ხანებში თიხნარს არ წყალობს — წლეულს მსგავს საფარზე მხოლოდ 9 მოგება და 8 მარცხი აქვს ანგარიშზე. რუსმა კიცბუელამდე ზედიზედ ოთხი მატჩი წააგო და ტურნირის მეორე წრეშიც (პირველიდან ძველი დამსახურებისთვის გათავისუფლებული იყო) კინაღამ გაუგრძელდა მარცხიანი სერია — ჩეხ რადომირ ვაცეკს მხოლოდ გადამწყვეტი ხელის ტაი-ბრეიკზე აჯობა 6:7 (2:7), 6:3, 7:6 (7:4).

მეორე წრის ყველაზე დიდი მოულოდნელობა ალბერტო ბერასატეგის (4) მარცხი იყო. ჩია ესპანელი, რომელმაც თიხნარის სეზონი ზედიზედ ათი გამარჯვებით დაიწყო, როლან გაროსზე დაშავდა, უიმბლდონიც ჩვეულებრისამებრ გამოტოვა და ამდენი ხნის უთამაშებელმა ფორმის დაბრუნება ველარც მოახერხა. ბერასატეგის ორსაათნახევრიან, მეტად დაძაბულ ორთაბრძოლაში ყველასაგან მივიწყებულმა გერმანელმა ბერნდ კარბახერმა მოუგო (ამას თავის დროზე პიტ სამპრასიც კი გაუმწარებია), 4:6, 6:4, 7:6 (7:5), რომელიც თურმე უკვე კარგა ხანია, კიცბუელის ცენტრალური კორტიდან 5 წუთის სავალზე ცხოვრობს. „ამ გამარჯვებამ თავდაჯერება შემმატა და ამ მხრივ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ისევ ვიწამე, რომ თუ კარგ ფორმაში ვარ, ნებისმიერის დამარცხება შემიძლია“ — განაცხადა გერმანელმა.

**მეორე წრე: ალბერტ კოსტა (3, ესპანეთი) — რაინერ შუტლერი 6:1, 6:3; ტომას მუსტერი (5, ავსტრია) — იან კროსლაკი (სლოვაკეთი) 6:2, 4:6, 6:2; ანდრეა გაუდენცი (7, იტალია) — ლარს რემანი (გერმანია) 7:6 (9:7), 6:2; ფილიპ დევულფი (12, ბელგია) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 6:7 (7:9), 6:3, 6:3; მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) — ჰიშამ არაზი (11, მაროკო) 6:2, 6:1; ფრანსისკო კლავეტი (6, ესპანეთი) — კრისტიან ვინკი (გერმანია) 6:3, 6:3; უიენ არტურსი (ავსტრალია) — მარატ საფინი (რუსეთი) 7:6 (8:6), 6:4**

**ავთანდილ სვანიძე**



# TOUR DE POLICE

მე-18 ეტაპი. ე-ლე-ბენიდან ნოშატელამდე. 218,5 კმ.




წლევანდელი ტურის მთავარი მოქმედი პირები

ტურ დე ფრანსის მე-18 ეტაპი კიდევ უფრო დიდი დანაკლისით დაიწყო. იმავე საღამოს, როდესაც რბოლისთვის თავის დანებების შესახებ „ონსეს“, „ბანესტოსა“ და რისო სკოტის გუნდებმა გამოაცხადეს, ტურმა დარჩენილი ორი ესპანური გუნდი — „ვიტალისიო“ და „კელმეც“ მოისაკლისა.

„ტური ძალიან ცუდად მოგვექცა. ჩვენ კმაყოფილნი ვართ საკუთარი გადაწყვეტილებით, ეს რბოლა სპორტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სულაც არ არის“ — განაცხადა „ონსეს“ დირექტორმა მანუელ საისმა.

მრბოლების პროტესტისა და გაფიცვის მიუხედავად, გუნდების დაწიოკება ოთხშაბათ საღამოსაც გაგრძელდა. პოლიციამ „კაზინოს“ ლიდერი, „მთის მეფის“ თეთრ-წითელი მაისურის პატრონი როდოლფო მასი დააკავა და მთელი ღამე ციხეშიც გაატარებინა, რის გამოც იტალიელმა მე-18 ეტაპზე ასპარეზობა ვერ მოახერხა.

იგივე ბედი ეწია გუნდ „ფრანსეზ დე ჟოს“ დირექტორ მარკ მადიოს, თუმცა გუშინ შუადღით იგი გაათავისუფლეს და რბოლის გაგრძელების ნებაც დართეს. სამაგიეროდ, ნაკლებად გაუმართლა „ონსეს“ ექიმ ნიკოლას ტორადოს, რომელიც გუნდის სასტუმროში აღმოჩენილ წამლებიან ჩემოდანს გააყოლეს თან. მიუხედავად „ონსეს“ ყოველგვარი ცდისა, ტორადოსთან დაკავშირება, მით უმეტეს, ციხიდან გამოხსნა არაფრით მოხერხდა. თუმცა გუნდის გენერალური მდივნის ხოსე ანტონიო მონტეროს განცხადებით, ჩემოდანში არანაირი აკრძალული ნივთიერება არ ყოფილა, ამიტომ მათი ანალიზის შემდეგ ექიმიც უნდა გაათავისუფლონ: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დასამალი არაფერი გვაქვს. თუ ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით წარიმართება, ამ საღამოს ის უნდა გამოუშვან.“

„ტურ დე ფრანსის“ გაჭირვება ყველაზე უფრო ესპანელების წისქვილზე ასხამს წყალს. მათებური „ვუელტა“ პრესტიჟით ტურს ვერასოდეს შეედრებოდა, ახლა კი ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს, ამ ერთი სეზონით მაინც. ესპანეთის საზოგადოებრივი ადმინისტრაციის მინისტრმა მარიანო რახოიმ თავისიანებს რბოლის გაგრძელებაზე უარის თქმა მოუწონა, რთული, მაგრამ სწორი გადაწყვეტილებააო. რას იზამ, ცხოვრება ასეთიაო, მერე კი შემდეგი სიტყვებიც დაურთო: „მრბოლებს ვთხოვ, სექტემბერში „ვუელტასთვის“ განახლებული ძალებით მოემზადნონ და ეს რბოლა „ტურ დე ფრანსზე“ ღირსეულ სანახაობად აქციონ.“

რაც შეეხება თავად ეტაპს, იგი კარგა ხანი ოთხ გაქცეულსა და პელოტონს შორის კატა-თაგვობანას თამაშს წააგავდა, სანამ უკანასკნელ კილომეტრებზე „ტელეკომის“ გუნდის ძალისხმევით ჯერომ მნიშვნელოვნად არ გაზარდა ტემპი და წინმავლებს წამოეწია. გამარჯვებულის ბედი საფინიშო სპურტზე, სპრინტერებს შორის გადაწყდა. დიდი ხნის მანძილზე წინ მწვანე მაისურის მატარებელი ერიკ ცაბელი იყო, მაგრამ ბოლო მეტრებში მას ბელგიელი ტომ სტილსი წამოეწია და გერმანელმაც საბედისწერო შეცდომა დაუშვა: პედლების ტრიალს დროზე ოდნავ ადრე შეეშვა და ხაზის ინერციის ხარჯზე გადაკვეთას შეეცადა. სტილსმა წლევანდელ ტურზე მეორე ეტაპი მოიგო.

საერთო ჩათვლაში ყველაფერი უცვლელი დარჩა, თუმცა რბოლის დასრულების შემდეგ ყვითელი მაისურის მფლობელმა მარკო პანტანიმ შტრაიკბრეხერული რამ ჩაიდინა. „ჩვენს სოლიდარობას ამ შემთხვევაში აზრი არა აქვს, რადგან კანონი არ შეიძლება დაირღვეს. თუკი რომელიმე მრბოლმა რაიმე უკანონო ჩაიდინა, იგი უნდა დაისაჯოს კიდეც“ — ტურის მოგებისთვის კაცი რას არ იტყვის.

**მე-18 ეტაპი: 1. სტილსი — 4:53,27; 2. ცაბელი; 3. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია); 4. რობი მაკივენი (ავსტრალია); 5. ჟეკი დიურანი (საფრანგეთი) — ყველას იგივე დრო.**

**საერთო ჩათვლა: 1. პანტანი — 77.38,249 2. ბობი ჯულიჩი (აშშ) +5,42; 3. იან ულრიხი (გერმანია) +5,56; 4. კრისტოფ რინერო (საფრანგეთი) +8,01; 5. მიქაელ ბუგერდი (ჰოლანდია) +8,05; 6. ჟან-სირილ რობინი (საფრანგეთი) +12,34.**

**ლაშა ლომჯარია**



1998 GOODWILL GAMES

მსოფლიოს ყველაზე ცნობილი მოყვარული მოკრივე ფელიქს სავონი ისევ შიშის ზარს სცემს მეტოქეებს. გუშინ კუბელი ოლიმპიური ჩემპიონი „მედისონ სკვერ გარდენის“ რინგზე ნაქებ-ნადიდებ 19 წლის ამერიკელ მელკომ ტენს შეხვდა, რაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ უკანასკნელისთვის არცთუ სახარბიელოდ დასრულდა. ფიდელ კასტროს ახლო მეგობარმა ჩვეულად, საკმაოდ დუნედ დაიწყო მატჩი, თუმცა ამით შეთამაშებულ ამერიკელს მეორე რაუნდში უკვე საკმარისზე მეტი მოხვდა, მესამეში კი, ნამდვილი გვემა რომ დაიწყო, ტენის მწვრთნელებმა ჭკუა იხმარეს და სასწრაფოდ თეთრი პირსახოცი გადმოაგდეს. „კარგი ბიჭია, ჯერ ახალგაზრდაა და ბევრის მიღწევა შეუძლია“ — რინგს გარეთ მაინც დაინდო მეტოქე კუბელმა.

სავონის მეტოქე ფინალში კიდევ ერთი ამერიკელი, 30 წლის დევრილ უილიამსონი იქნება, რომელმაც ნახევარფინალში რუს იგორ კშინინს წარბი გაუხეთქა და ამის გამო მატჩის შეწყვეტითაც იხეირა.

კრივი

ნახევარფინალები

**106 ფუნტი: ალექსან ნალბანიანი (რუსეთი) — როელ ველასკო (ფილიპინები) 13:1; მაიკრო რომერო (კუბა) — სერგეი კაზაკოვი (რუსეთი) 12:2**

**119 ფუნტი: ვალდემარ ფონსტი (კუბა) — ანტონიო როდრიგესი (აშშ) 21:5; ტიმურ ტოლიაკოვი (უზბეკეთი) — ხოსე სანტა კრუზი (აშშ) 7:4**

**132 ფუნტი: მარიო კინდელანი (კუბა) — ალექსანდრ მალეტინი (რუსეთი) 19:15; ჯეიკობ ჰადსონი (აშშ) — ალექსანდრ ლეონოვი (რუსეთი) 5:4**

**147 ფუნტი: ანდრეი მიშინი (რუსეთი) — მიგელ ესპინო (აშშ) 17:0; ლარი მოუსლი (აშშ) — რობერტო გუერა (კუბა) 12:11**

**165 ფუნტი: ჟან-პოლ მანდი (საფრანგეთი) — დმიტრი სტრელჩინინი (რუსეთი) 10:5; არიელ ერნანდესი (კუბა) — დილშად იარბეკოვი (უზბეკეთი) 8:4**

**მირანდა ზედელაშვილი**

# ტაისონი შეკითხვებით დატანჯეს

ექვს აგვისტოს ნევადის ათლეტთა კომისიამ საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს, დაუბრუნოს, თუ არა შერისხულ მაიკ ტაისონს საკრივო ლიცენზია. ამ ხმაურიან საქმესთან მიმართებაში, ნიუ ჯერსის ქალაქ ტრენტონის სასამართლო საბჭომ ტაისონი დაიბარა და ოთხი საათი გააბეზრა სულელური შეკითხვებით.

ტაისონს ნევადელთა თხოვნით ებაასებოდა ნიუ ჯერსის მთავარი რწმუნებულის თანაშემწე მაიკლ ჰაასი და ეკითხებოდა დაახლოებით ასეთ რამეებს: „იცით კრივის წესები?“, ან კიდევ „რატომ მოხვდით ინდიანას ციხეში?“ ტაისონიც პასუხობდა, მაგრამ მისი ჭკუამოკლეობის და უსწავლელობის ამბავი ხომ მოგეხსენებათ, ისე ღელავდა, რომ ლამის მაჯები დაიჭამა, ბოლოს კი მოთმინება (ამბობენ აზროვნების უნარიცო) დაკარგა და ასლუკუნდა.

„ღმერთო, ღმერთო, ხომ იცით, რასაც ვამბობ? რატომ ვარ ასეთ დედამ...ლ დღეში? რატომ გამედო ყველაფერში?“. მის ამგვარ უზრდელობას მსაჯულნი როგორც შეხვდებოდნენ, ადვილი მისახვედრია. მაგრამ საქმეში მისი გაქნილი ვექილი ენტონი ფუსკო ჩაერთო და იმდენი ილაპარაკა ტაისონის მძიმე ხვედრის, მისი წარსულისა და აწმყოს შესახებ, რომ ნიუ ჯერსელ მსაჯულებს მაიკლის ქუჩური ლექსიკონი სულ გადაავიწყდათ. დარბაზში წარმოდგენილ უარყოფით ვიდეომასალას ფუსკომ თავისი კასეტა დაუპირისპირა, სადაც მისი 93 წლის დედობილი, ცოლი მონიკა, ძველი მოკრივეები ბობი ჩეიჯი და „ბეიონ ბლიდერად“ წოდებული ჩაკ ვიპერი საუბრობენ მაიკის შესახებ. ეს ხალხი ტაისონს წარმოადგენს როგორც ხელგაშლილ, კეთილ, მზრუნველ ადამიანს, რომელსაც, რატომღაც ბოისკაუტის ჭკუა აქვს.

ამავე კასეტაზეა ჩაწერილი ცნობილი საქმოსნის, შელი ფინკელის სიტყვებიც, რომელთა აზრიც იმაშია, რომ თუ ტაისონს ლიცენზიას დაუბრუნებენ, ის თავის პირველ ჩხუბს ნიუ ჯერსის შტატში გამართავს. ფინკელი, რომელსაც ახლა დონ კინგის ადგილი უპყრია ტაისონის ცხოვრებაში და საქმეში, ამით კოჭს უგორებს ნიუ ჯერსელებს, თქვენთან დიდ კრივს ვაბრუნებო. ტაისონს ხომ ამ შტატში რვა წელიწადია არ უკრივია. ასეა თუ ისე, მოსმენამ ოთხ საათს გასტანა და გარეთ გამოსულ მაიკს დარბაზში მოდენილი ოფლი იოლად შეაშრა.

„მე გონება არ დამიკარგავს“, — განუცხადა მან ჟურნალისტებს — „უბრალოდ, ჩემი გულისთქმა გამოვხატე“.

პირადმა მასაჟისტმა ბერტ როტმანმა მაიკს „კეთილი სათამაშო დათვი უწოდა“, სულიერმა მოძღვარმა მუჰამედ სადიყმა კი გამოაცხადა, ტაისონს მსოფლიო პრობლემათა მოგვარება ხელეწიფებაო.

მოკლედ, ნიუ ჯერსის სასამართლო საბჭო ნევადაში გაგზავნის დაკითხვის შედეგებს. თავად ნევადელები კი ამ პროცედურის შტატებს შორის გაწელვის ამბავს ტაისონს აბრალებენ, ჩვენ შტატში მოსმენაზე მოსვლა არ მოისურვა და ნიუ ჯერსელებს ამიტომაც ვთხოვეთ ამ აუცილებელი პროცედურის მოგვარებაო.

ისე კი, მედია დარწმუნებულია — ექვს აგვისტოს ტაისონს ლიცენზიას დაუბრუნებენ.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

REUTERS ნიუ ჯერსიდან




სასამართლოდან გამოსულ ტაისონს ახლა ჟურნალისტები მისდგნენ. გვერდით რომაა, მისი ცოლია — მონიკა ტერნერი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია

**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული

**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი

**სარედაქციო კოლეგია:** ილია ბაბუნაშვილი, ვახტანგ ბზიკაძე

**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29